 გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№65 (1091) 12 - 14 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

2015 წლის 17 ივნისიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადადის

ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
www.Digitaltv.ge

ცხელი ხაზი: 14 80

ემიგრანტებს შეზღუდვები დაუწესეს!

დიასპორის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია

რა პრობლემა ექმნებათ თანხებისა და ამანათების გამოგზავნის დროს

რატომაა აუცილებელი ზუსტი სტატისტიკა

რატომ უნდა შეიქმნას სპეციალური ბიზნეს-პროექტები

რატომ და რა მიზნით უნდა დააბანდოს ფული სახელმწიფომ ემიგრაციაში

რატომ უნდა გადმოასვენოს გარდაცვლილი ემიგრანტები სახელმწიფომ

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს გვ. 6

ზესტაფონელი შალვოვიჩის ალიარებითი ჩვენება
აპტიმრის დღიური

გვ. 8

ბოიკოტი ოპოზიციის ბოიკოტს

სერგო ჯავახიძე ოპოზიციას ამხელს და ყველა ბრალდებას პასუხობს
გვ. 4

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი და KPMG Georgia საქართველოს მასშტაბით დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების თაობაზე ღია სემინარებს ჩაატარებენ
გვ. 7

გვ. 9
მხიარული შეფმზარეული ტეკილას სამშობლოდან

გია ჯაჯანიძე „იმედზე“ ახალ გადაცემას იწყებს!

გვ. 5
„ორი წელი სამოთხეში ვიცხოვრე!“ — აპირებს თუ არა პოლიციაში წასვლას „სხვა რაკურსის“ სკანდალური წამყვანი

რა(დ) ღირს ცხოვრება საქართველოში? გვ. 10

ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აზერბაიჯანის პრეზიდენტმა პირისპირ შეხვედრისას ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილსა და ილჰამ ალიევს შორის შეხვედრა ზაგულბას საპრეზიდენტო სასახლეში გაიმართა. შეხვედრაზე ისაუბრეს რეგიონული ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე. გამოთქვეს სურვილი, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის გაღრმავდეს პოლიტიკური, ეკონომიკურ-კულტურული და ენერგეტიკული თანამშრომლობა. საქართველო აზერბაიჯანს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორ და მეგობარ სახელმწიფოდ განიხილავს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აზერბაიჯანსა და საქართველოს მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობა აკავშირებს.

„პირველი“

ენერგეტიკაში 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია ხორციელდება

გარდაბნის კომბინირებული თბოელექტროსადგურის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულებას ხელი ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ნათია თურნავამ, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დირექტორმა დავით თვალაბეიშვილმა, შპს „გარდაბნის თბოელექტროსადგურის“ დირექტორმა ლაშა მგელაძემ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ამბოკაძემ და კომპანია Pegasus EastWest Ltd-ს წარმომადგენელმა რაფი კამინერმა მოაწერეს.

ლარის კურსის დასტაბილურების მიზნით მთავრობამ თბილისსა და რეგიონებში სხვადასხვა ობიექტების პრივატიზება გამოაცხადა. გარდაბნის კომბინირებული თბოელექტროსადგური გამოცხადებული საპრივატიზაციო ნუსხიდან პირველი ობიექტია, რომელზეც იმპლემენტაციის ხელშეკრულება გაფორმდა. პროექტი საქართველოს საპარტნიორო ფონდმა და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“, შპს „გარდაბნის თბოლოექტროსდადგურის“ მეშვეობით ერთობლივად განახორციელეს. პროექტისთვის დაახლოებით 230 მილიონი დოლარია დახარჯული.

თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 230 მგვტ-ს შეადგენს და მის მშენებლობას უმსხვილესი თურქული კომპანია ÇALIK ENERJİ ახორციელებს.

„პირველი“

ქუთაისის ციხეში 14 წლის პატიმარი შიმშილობს

არასრულწლოვან ს.თ-ს სამართალდამცველები 2015 წლის 19 მარტს მაღაზიის ძარცვაში სდებენ ბრალს.

როგორც არასრულწლოვანი პატიმრის ადვოკატი ილია ჯანელიძე აცხადებს, საქმეში ფაქტობრივად მტკიცებულებები არ არსებობს: **„მტკიცებულებები ფაქტობრივად არ არსებობს. დაზარალებული იმ დღეს ძლიერ მთვრალი იყო და არ არის გამორცხული, მან მოვლენები ვერ აღიქვა და ტყუილად სდებდნენ ბრალს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს“.**

„პირველი“

„საუდის არაბეთის პრინცი, საქართველოში ინვესტირების მიზნით, უახლოეს მომავალში დელეგაციას გამოგზავნის“

პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს, რომ საუდის არაბეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მომავალში უფრო გაღრმავდება.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, საუდის არაბეთის პრინცი უახლოეს მომავალში, საქართველოში დელეგაციის გამოგზავნას აპირებს, რათა კონკრეტულ პროექტებზე დაიწყოს მუშაობა: **„ვფიქრობ, ეს ვიზიტი არის კიდევ ერთი დადასტურება, რომ ისეთი ცნობილი, გამორჩეული ბიზნესმენი, როგორიცაა საუდის არაბეთის პრინცი, გამოხატავს ნდობას ჩვენი ქვეყნის მიმართ. მინდა, მადლიერებით აღვნიშნო, რომ მისი ვიზიტი საკმაოდ ძლიერი გზავნილის შემცველი იყო. ვესაუბრე მას და ის აპირებს, უახლოეს მომავალში გამოგზავნოს დელეგაცია, რომელიც კონკრეტულ პროექტებზე დაიწყებს მუშაობას საქართველოში ინვესტიციების ჩასადებად. ეს საკმაოდ პოზიტიური და ძლიერი გზავნილია“.**

„პირველი“

ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარს გრიფი მოეხსნა

პროკურორის ჯარჯი წიკლაურის განცხადებით, პროკურატურამ ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარს გრიფი, კონტრდაზვერვის წერილის საფუძველზე ახსნა. მისი თქმით, საიდუმლო სტატუსი მტკიცებულებების მხოლოდ იმ ნაწილს დარჩა, რომელიც საქალაქო სასამართლოს პირობებშიც საიდუმლოდ განიხილებოდა: **„პროკურატურამ თავის დროზე საქმეს მოხსნა გრიფი „საიდუმლო“, ჩვენ გავმიჯნეთ საიდუმლო დოკუმენტაცია არასაიდუმლოსაგან, რათა სასამართლო პროცესი ყოფილიყო საჯარო. მიუხედავად პროკურატურის ძალისხმევისა, პირველივე სხდომაზე თავად ადვოკატებმა მოითხოვეს სასამართლო პროცესების დახურვა, რასაც მოჰყვა საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების საიდუმლო რეჟიმში განხილვა. ამდენად სასამართლოს განჩინებაც, რომელიც ჩვენს მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით, გამოცხადდა დახურულ სხდომაზე და მასში დაცულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, სწორედ ამიტომ ადვოკატებს ეს განჩინება გადაეცათ საიდუმლო ნაწილში დაშტრიხული სახით, კერძოდ დაშტრიხულია ამ განჩინებაში არსებული საიდუმლო ინფორმაცია, ვინაიდან ადვოკატებს არ აქვთ შესაბამისი დაშვება აღნიშნული კატეგორიის ინფორმაციაზე. სწორედ ამის გამო მოგვიწია სააპელაციო საჩივრის შეტანა საიდუმლო წესით, ვინაიდან სასამართლოს განჩინების მსგავსად მასშიც დაცულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. მას შემდეგ, რაც შევიტანეთ სააპელაციო საჩივარი, პარალელურ რეჟიმში კვლავ მივმართეთ კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, რომელმაც გამიჯნა სააპელაციო საჩივრის საიდუმლო და არასაიდუმლო ნაწილი, კერძოდ, დაიშტრიხა სააპელაციო საჩივარში არსებული საიდუმლო ინფორმაცია. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს პირობას და ადვოკატებს მიეწოდებათ ჩვენი სააპელაციო საჩივარი“.**

ჯარჯი წიკლაურმა ასევე აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების ადვოკატები ფაქტების დამახინჯებით სპეკულირებენ.

„პირველი“

გმირთა მოედნის ესტაკადის და ვერეს ხეობის ავტომაგისტრალის გადაკვეთაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეიზღუდება

გმირთა მოედნის ესტაკადის და ვერეს ხეობის ავტომაგისტრალის გადაკვეთაზე პარასკევს, 12 ივნისს 9:00-დან 19:00 საათამდე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით შეიზღუდება.

შეზღუდვა ტრანსპორტის მოძრაობაში შექმნილი შეფერხების მიზეზების შესწავლის მიზნით ხორციელდება.

ტრანსპორტის მოძრაობა კოსტავას ქუჩიდან ტელევიზიის შენობის წინ, გმირთა მოედნის ესტაკადაზე ასასვლელ პანდუსზე შეიზღუდება. ამ მხრიდან მიმავალ ტრანსპორტს ესტაკადაზე მოხვედრა მოედანზე არსებული პანდუსის გავლით შეეძლება.

„პირველი“

შსს-მ 13 შეკვრა ჰეროინი ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1967 წელს დაბადებული მამუკა ხ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ზუგდიდში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის სალონის ჩხრეკისას 13 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკი და საინექციოდ გამზადებული შპრიცი ამოიღეს, რომელშიც ნარკოტიკული ნივთიერება იყო. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 2,8748 გრ ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება. ნარკოლოგიური შემოწმებით დადგინდა, რომ მამუკა ხ. დაკავებისას ჰეროინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

სალიბაურის სკოლაში მომხდარ ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 248-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სანიტარულ-ეპიდემიური წესის დარღვევას გულისხმობს. პოლიციის მიერ ადგილზე გამოძახებულია სანიტარული ზედამხედველობის სამსახური, რომელიც საკვების ნიმუშებს გამოიკვლევს. უწყების ცნობით, ამ დროისთვის ასევე პედაგოგებისა და მშობლების დაკითხვა მიმდინარეობს. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციის სალიბაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები თავს კარგად გრძნობენ. იმას, რამ გამოიწვია სკოლის ექვსი მოსწავლის ჯანმრთელობის ერთდროულად გაუარესება, უახლოეს მომავალში ლაბორატორიული კვლევა დაადგენს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა 11 ივნისს დაახლოებით 10:00 საათზე გამოიძახეს. ადგილზე მისულ ექიმებს სკოლის ექვსი მოსწავლე შეუძლოდ დახვდათ. რვიდან თორმეტ წლამდე ასაკის ექვსი მოსწავლე, მუცლის ჭვალის დიაგნოზით ბათუმის დედათა და ბავშვთა რეგიონულ ცენტრში გადაიყვანეს. სხვა ბავშვებს რაიმე დაავადების დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები არ აღენიშნებათ. შემთხვევის გამო სკოლაში სასწავლო პროცესი არ შეჩერებულა.

„პირველი“

ემიგრანტებს შეზღუდვები დაუწესეს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში, „ფეიკ“ (ცრუ) სააგენტოების საშუალებით, მცდარი ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს საზღვარგარეთიდან საქართველოში გადმორიცხული თანხები უნდა დაიბეგროს და ამასთან დაკავშირებით, პარლამენტში ახალი კანონპროექტი უნდა მომზადდეს.
არასამთავრობო ორგანიზაცია „ემიგრანტები — დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა, საბერძნეთში მოღვაწე ბიზნესმენმა, გიორგი ოკრიბელაშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ამ ყალბი ინფორმაციის გავრცელებას ემიგრანტების უკმაყოფილება მოჰყვა. მისი თქმით, ეს მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურება — ემიგრანტები აღშფოთდნენ და ქვეყანაში ფულადი გადმორიცხვები შეწყვიტონ. თუმცა ეს ცრუ ინფორმაცია ერთადერთი არ ყოფილა, რის გამოც ემიგრანტები ამ დღეებში გაცხარდნენ. კინორეჟისორ ქეთი დოლიძის მოსაზრებას, რომ ემიგრანტი მხოლოდ ისაა, ვინც უცხოეთში, პოლიტიკურ დევნილობაშია და არა ის, ვინც ქვეყანას საკუთარი ნებით ტოვებს (გირჩევთ, სიტყვა ემიგრანტის მნიშვნელობა უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში ნახოთ, — ავტ.), უამრავი ემიგრანტი გამოეხმაურა.
რეალურად, ბოლო 25 წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, შიმშილს ქართველი ემიგრანტების დახმარებით გადაურჩა. საქართველოში ოჯახი არ დარჩა, ერთი წევრი მაინც არ იმყოფებოდეს საზღვარგარეთ და მძიმე შრომის ფასად, ერთი ემიგრანტი, საშუალოდ, 3 ოჯახს ინახავს საქართველოში.

ცვლილება ფულად გადმორიცხვებში

ტურისტებისა და ინვესტიციების რაოდენობასთან ერთად, უცხოეთიდან სწრაფი ფულადი გზავნილები ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რაც საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. თუკი ასეთი „ფეიკი“ ნიუსებისა და ემიგრანტების ლანძღვის შემდეგ, საზღვარგარეთ წასული ჩვენი თანამოქალაქეები ფულად გადმორიცხვებს შეაჩერებენ, ეს პროცესი ლარის კურსზე უარყოფითად აისახება და ქვეყნის ეკონომიკას მეტად დააზარალებს. საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ჩვენი თანამოქალაქეების მიერ, კერძო ფულადი გზავნილები კი წელიწადში მილიარდ 300 მილიონ დოლარს შეადგენს.

გიორგი ოკრიბელაშვილის განმარტებით, ერთადერთი ცვლილება, რაც ფულად გადმორიცხვებს უკავშირდება ისაა, რომ მაგალითად, საბერძნეთიდან საქართველოში თანხას არალეგალურად მყოფი ემიგრანტი ვერ გადმორიცხავს:

„უკვე ერთი თვეა, საბერძნეთის ცენტრალურმა ბანკმა გამოსცა ცირკულარი, რომლითაც სწრაფი ფულადი გზავნილების განმახორციელებელ კომპანიებს მოსთხოვა, გადარიცხვები განახორციელონ საბერძნეთში მხოლოდ ლეგალურად მყოფმა პირებმა, ანუ მათ, ვისაც აქვს ვიზა, წითელი ბარათი (ლტოლვილის საბუთის მოლოდინში მყოფი პიროვნების საბუთი, რომელსაც ამ ქვეყანაში ცხოვრების ნებართვა აქვს), ევროკავშირის ტერიტორიაზე, კერძოდ საბერძნეთში ცხოვრებისა და მუშაობის უფლების დამადასტურებელი საბუთი. ერთადერთი შეზღუდვა ისაა, ამ საბუთების წარდგენის შემთხვევაშიც კი, ერთი თვის მანძილზე, ქვეყანაში ლეგალურად მყოფი ემიგრანტიც კი ვერ გადარიცხავს 910 ევროზე მეტს. ჩვენ „ვესტერნ იუნიონის“ წარმომადგენლები ვართ საბერძნეთში და შესაბამისად, „ვესტერნ იუნიონმა“ მოგვთხოვა, თუ პიროვნება 910 ევროზე მეტს გადარიცხავს, გადასახადების გადამხდელის დეკლარაცია წარმოგვიდგინოს. „ვესტერნ იუნიონმა“ ეს იმიტომ მოითხოვა, რომ შესაძლოა, ქვეყანაში ლეგალურად მყოფ პირს, მისმა არალეგალმა მეგობარმა სთხოვოს თანხის გადარიცხვა, რაც 910 ევროზე ნაკლები იქნება, მაგრამ ეს ადამიანი საკუთარ ოჯახშიც ხომ გზავნის ფულს? როგორც კი ბრუნვა 910 ევროს გადასცდება, ლეგალურად მყოფ პირს შემოსავლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას მოსთხოვენ. ეს სარისკო ტენდენციაა და შესაძლოა, ამ მომენტში, ლეგალურად მყოფი პირი „გაიჭედოს“.

გიორგი ოკრიბელაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ 910 ევრო საკმაოდ დაბალი თანხაა. მისი თქმით, მასში შედის ის კომუნალური გადასახადები, რასაც ემიგრანტები საქართველოში იხდიან და მათი ოჯახების საბანკო კრედიტებიც: **„თავი დავანებოთ ემიგრანტების ოჯახებს, რომლებიც ასეთი შეზღუდვის გამო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან და არალეგალ ემიგრანტებსაც, რომლებსაც ალტერნატიული გზების ძებნა და „შავ მაკლერებთან“ ურთიერთობა დასჭირდებათ, საბანკო არხების საშუალებით, საქართველოში ლეგალური გზით ფულის მოხვედრის არხი შეიზღუდება! შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკა დაზარალდება, რადგან სავალუტო კრიზისის ძირითად გამომწვევ მიზეზებს შორის, ემიგრაციის მიერ პირდაპირი გადმორიცხვების შემცირებაც დასახელდა“.**

გიორგი ოკრიბელაშვილის თქმით, უცხოეთში სამუშაოდ წასული ჩვენი მოქალაქე, საქართველოში, მინიმუმ 3-5 ოჯახს ინახავს, სადაც არა მარტო თანხას, ამანათებსაც აგზავნის. თითო რეისზე, ერთი ემიგრანტი, დაახლოებით 10 კგ თევზს, 5 კგ კარაქს,

დიასპორის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია

6 ლ ზეთს, 7 კგ ბურღულეულს გზავნის. 25 წლის მანძილზე, სწორედ ამ ადამიანებმა შეინახეს ოჯახები საქართველოში. დღეს, საბერძნეთიდან, კვირაში 40 ტონაზე მეტი ნივთი ჩამოდის, ძირითადად, ტანსაცმელი, საკვები პროდუქტი და სარეცხის საშუალებები. თუ ადრე ემიგრანტებს 150 ევროს ღირებულების ამანათები შემოჰქონდათ განბაჟების გარეშე, ახლა ეს თანხა 110 ევრომდე შემცირდა და მათთვის ესეც სერიოზულ პრობლემად იქცა.

რატომაა აუცილებელი ემიგრანტების სტატისტიკა

გიორგი ოკრიბელაშვილის განცხადებით, უკვე ოთხი წელია, დიასპორის დღესთან დაკავშირებით, 27 მაისიდან, 3-4 დღის განმავლობაში, საქართველოში კონფერენცია ტარდება. კონფერენციას, რომელსაც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ატარებს, წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა: **„წლევანდელი ფორუმი, „გაუზიარე შენი გამოცდილება სამშობლოს“ საინტერესო იყო. ამის მიუხედავად, კონფერენცია ერთ საათში დავტოვე, რადგან უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ წაგვიკითხა ლექცია თემაზე, რა კარგია ევროკავშირი და რა ცუდია ევრაზიული კავშირი. რუსეთში ბიზნესი 1996 წელს დავხურე და ევროპაში გადავედი. ანუ, არჩევანი ჯერ კიდევ 1996 წელს გავაკეთე. არც სტუდენტი ვარ, რომელსაც ამ ტიპის ლექცია უნდა წაუკითხო. წლებია, ასეთ ფორუმებზე ერთადერთ კითხვას სვამენ — რამდენი ემიგრანტი ჰყავს საქართველოს? ყველა სხვადასხვა ციფრს ასახელებს. ზოგი ამბობს, რომ მილიონი ემიგრანტია, ზოგი — მილიონ ნახევარს ასახელებს, ზოგი — 2 მილიონს. არ ვიცი, რატომ ვერ დავადგით თავი, რომ ბოლოს და ბოლოს, აღვრიცხოთ ემიგრანტების რიცხვი. ჩვეულებრივ საკონსულო აღრიცხვით საბერძნეთში 34 000 ემიგრანტი ფიქსირდება, რაც სასაცილოა. დღევანდელი მონაცემებით, საბერძნეთში დაახლოებით 120 000 ჩვენი მოქალაქეა“.**

ოკრიბელაშვილი ამბობს, რომ ემიგრანტები მხოლოდ კვირა დღეს ისვენებენ, ამ დღეს კი საბერძნეთში საქართველოს საელჩო და საკონსულო არ მუშაობს. მეტიც, საქართველოს საელჩო ათენის ფეშენებელურ უბანშია განთავსებული. იქვეა ისრაელის, რუსეთის საელჩოები, გაეროს ოფისი, სადაც არალეგალი ქართველი ემიგრანტის გამოჩენა საკმაოდ სახიფათოა. მისი თქმით, როგორც სხვა ემიგრანტებს, ქართველებსაც საკუთარი თავშეყრის ადგილი აქვთ ათენში — ომონიას მოედანზე, სადაც კვირაობით 30 000-მდე ქართველი იყრის თავს:

„ომონიას მოედნიდან, საქართველოს საკონსულომდე 20-25 წუთია საჭირო. კვირა ერთადერთი დღეა, როცა ემიგრანტი ფულის ან ამანათის გამოგზავნას ახერხებს. საკონსულომ უნდა მოახერხოს და კვირაობით, თვითონ მივიდეს ხალხთან. არაერთხელ შევთავაზე, თანახმა ვარ, კვირაობით ჩემი ოფისის ნაწილი დავუთმო საკონსულოს, რათა ხალხი მიიღოს. მიპასუხებენ, რომ კვირას საბანკო სისტემა არ მუშაობს, მაგრამ თუ პასპორტს ვერ გააკეთებენ, ამ დღეს აღრიცხვას მაინც ხომ შეძლებენ? ჩვენმა არასამთავრობომ სცადა ემიგრანტების აღრიცხვა, მაგრამ ისინი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ, საკონსულოს თანამშრომლებს კი ენდობიან. მათი აღრიცხვა მოგვცემს საშუალებას, სახელმწიფომ სპეციალურად მათთვის სხვადასხვა პროექტები შექმნას“.

გიორგი ოკრიბელაშვილის განცხადებით, ევროკავშირის გრანტის საფუძველზე მუშაობს ორგანიზაცია, რომელიც საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულ თითოეულ ემიგრანტს, ბილეთთან ერთად, 600 ევროსაც აძლევს. გარდა ამისა, თუ ემიგრანტი ამ ორგანიზაციას 2 000 ევროს ფარგლებში პროექტს წარუდგენს, უფინანსებენ კიდეც. საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების ძირითადი ნაწილი მანდილოსნია და მათი საშუალო ასაკი 55 წელზე მეტია.

დიასპორის ინვესტიციები და ბიზნესპროექტები

ემიგრაციის პრობლემების მოსაგვარებლად, საქართველოში საკმაოდ დიდი ოდენობის გრანტები გაიცემა, მაგრამ ისინი ადგილობრივი ოჯახების განათლებაზეა ორიენტირებული. გიორგი ოკრიბელაშვილის განცხადებით, თუ ოჯახმა გადაწყვიტა, მისი წევრი საზღვარგარეთ უნდა წავიდეს, ესე იგი, საქართველოში შემოსავლის სხვა წყარო არ აქვს. არადა, იმ ადამიანისთვის, რომელმაც წასვლა გადაწყვიტა, სპეციალურ განათლებას ემიგრაციის შესახებ, მნიშვნელობა აღარ აქვს. კარგად იცის, რა პლუსები აქვს ემიგრაციაში ლეგალურად წასვლას, მაგრამ ოჯახი შიმშილისგან ან ვალისგან რომ იხსნას, არალეგალობაზეც თანახმაა: **„რითი შეაშინებთ მაგალითად, 8 თვის ბავშვის დედას? ის ხომ ჩვილს საკუთარი სურვილით არ ტოვებს? დღეს ბევრს საუბრობენ დიასპორულ ინვესტიციებზე, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს. მარტივად გეტყვით, ემიგრანტს, რომელსაც მილიონიანი პროექტის დაფინანსება შეუძლია, ფორუმი და კონფერენცია არ სჭირდება. მან იცის, სად დააბანდოს საკუთარი შრომით ნაშოვნი ფული. ფორუმი იმ ემიგრანტებს სჭირდება, რომლებიც შეძლებულები არ არიან, მაგრამ სტაბილურ სამსახურში მუშაობენ და სოლიდური ანაზღაურება აქვთ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა კონფერენციაზე თქვა, რომ „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, გარკვეული პროექტები მოიწონეს, რომლებიც ემიგრანტებმა შექმნეს, მაგრამ კომერციულმა ბანკმა არ დააფინანსა, რადგან მათი ბიზნესგეგმა სტანდარტს არ შეესაბამებოდა. ხალხო, იმ ადამიანმა, რომელიც საზღვარგარეთ მომვლელად მუშაობს, ბიზნესგეგმის გამართულად წერა რომ იცოდეს, მერწმუნეთ, იქ არ იქნებოდა! კარგია, რომ 5 000 ლარის ფარგლებში, სახელმწიფო გრანტს გასცემს. ისიც ვიცი, რომ ბევრმა აიღო ეს ფული და საქმეშიც ჩადო. თუმცა ძალიან ცოტამ იცის, რომ ეს 5 000 ლარი ერთ პიროვნებაზეა გამოყოფილი, ანუ თუ პირობითად, ფერმის მოწყობა 50 000 ლარი ჯდება და მოახერხებთ, 10-კაციანი კოოპერატივი შექმნათ, თანხას სახელმწიფო გამოგიყოფთ“.**

გიორგი ოკრიბელაშვილის თქმით, ემიგრანტებისთვის სპეციალური პროგრამები უნდა შეიქმნას და თანადაფინანსების გარდა, მენეჯმენტსაც სახელმწიფომ მოკიდოს ხელი. დაბრუნებამდე გარანტირებულად ეცოდინება, რომ ფული არ დაეკარგება და საქართველოში მის ბიზნესსაც გამოცდილი მენეჯერი წაუძღვება. კარგი იქნება, თუ საკონსულტაციო კომპანია შეიქმნება, სადაც ემიგრანტებს ბანკში წარსადგენ პროექტებსა და ბიზნესგეგმებს შეუდგენენ: **„დიასპორის ინვესტიციების გამოსაყენებლად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ადგილსამყოფელ ქვეყანაში მათი ბიზნესთან კავშირებია. მაგალითად, საბერძნეთში ბევრი ქალბატონი ღირსეულ ოჯახში მუშაობს, პრემიერ-მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილის ოჯახებს უვლიან. პირადად რომ დამჭირდა, ერთ-ერთი ასეთი ქალბატონის საშუალებით, ზუსტად სამ საათში, პრივატულ სიტუაციაში შევხვდი ტრანსპორტის მინისტრს და პრობლემაც მოვაგვარე. არადა, ასეთი კავშირების შესახებ მთავრობის წევრებმა არაფერი იციან. აუცილებელია, სახელმწიფომ დიასპორა გააძლიეროს, რადგან საქართველო ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა ჯერ არ არის, ამიტომ ემიგრანტებს ვერ ვეტყვით, სტაბილური სამსახური დატოვეთ და ქვეყანაში დაბრუნდითო! რატომ არ შეიძლება, სახელმწიფომ ფული დააბანდოს ემიგრაციაში? ჩინეთის ეკონომიკას არ ვადარებ საქართველოს, მაგრამ ყველაფერი შედარებითია. როდესაც ჩინელი ქვეყნიდან მიდის, 30 000 აშშ დოლარის საქონელს ატანენ და სადაც მიდის, იმ ქვეყნის ტერიტორიამდე, ტრანსპორტირებისა და განბაჟების თანხასაც სახელმწიფო იხდის. ჩინელი, რომელიც სხვა ქვეყანაში ჩავა, გახსნის მაღაზიას, მოითხოვს ამ საქონელს და გაყიდის. შემდეგ შესყიდვას უკვე საკუთარი მოგების ხარჯზე ახორციელებს. რატომ არ შეიძლება დღეს, იგივე საბერძნეთში, საქართველომ ემიგრანტებს ქართული მაღაზიის გახსნის საშუალება მისცეს? ჩვენი „ნატახტარი“ შემოდის საბერძნეთში, მაგრამ დისტრიბუციას ბერძნები ახორციელებენ. ვამბობთ, რომ საქართველო ევროპასა და აზიას შორის კორიდორია, ჩვენი პროდუქციის ევროკავშირში გატანა გვინდა, მაგრამ ჯერ იმ ქვეყნებში შევიტანოთ, სადაც დიდი ემიგრაცია გყავს. თუ სოფლის მეურნეობის პროექტებში სახელმწიფო ბანკებსა და ფერმერებს შორის ხდება მედიატორი, რატომ არ შეიძლება, ნებისმიერ სხვა კომპანიასთანაც ასეთ მედიატორად იქცეს და პროდუქციის პირველი პარტია ემიგრანტს უსასყიდლოდ გადასცეს?“**

დასასრული მე-7 გვერდზე

ბოიკოტი ოპოზიციის ბოიკოტს — სერგო ჯავახიძე ოპოზიციას ამხელს და ყველა ბრალდებას პასუხობს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

როგორ დააპატიმრეს და წაართვეს ბიზნესი დავით კეზერაშვილმა, ირაკლი ოქრუაშვილმა და ძმებმა კოდუებმა, როგორ აღმოჩნდა ზურაბ ნოღაიდელის პარტიაში და რატომ დაუყადაღა მასა და მის ოჯახს ქონება, რატომ გაექცნენ პარტიის წევრები ნინო ბურჯანაძესთან და „ოცნებაში“, რა ბიზნესებს ფლობს დღეს რეალურად, რა ურთიერთობა აქვს გივი თარგამაძესა და კახა კალაძესთან, ითანამშრომლებს თუ არა ნაციონალებიდან წამოსულ ოთხეულთან, რაში ადანაშაულებს არასაპარლამენტო ოპოზიციას და რატომ ემიჯნება მათ ბოიკოტს —„ვერსიის“ კითხვებს, რომელიც მის მიმართ წლებია არსებობს, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი სერგო ჯავახიძე პასუხობს და არ იღებს შენიშვნას მისი პოლიტიკური პასიურობის შესახებ.

„ოპოზიცია ვაჭრობს, მაღე ფულსაც მოითხოვს და ბოლოს მაინც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას“

— არ ვიღებ შენიშვნას, რომ პასიური ვარ და გეტყვით, რატომ. რა ფორმით წარმოგიდგენიათ დღეს ჩემი ტიპის პარტიის აქტიურობა? პროფესიიდან გამომდინარე, აქტიური უფრო ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას ვარ, თუმცა ის, რომ ვთქვათ, „სითი პარკის“ თემაზე აქტიურად არ ვჩანვარ, არაფერს ნიშნავს. 2010 წლიდან ვამბობ, რომ მოგების გადასახადი უნდა გაუქმდეს, ახლა კი ორად გაყოფილი ნაციონალები ერთმანეთს ედავებიან, არა, ჩემი თემაა, არა — ჩემიო. აქ საერთოდ რა აქტიურობაზე შეიძლება საუბარი? თან, აღარც პარტიაა კვალიფიციური სუბიექტი, რადგან 3%-იანი ბარიერი ვერ გადავლახეთ. ნებისმიერი ტელევიზიის საეთერო ბადე რომ ნახოთ, ადგილობრივ არჩევნებზე, ნაციონალებს საეთერო დროის 30% დაეთმო, „ოცნებასაც“ 30%, დანარჩენი — ოპოზიციას, ხოლო ჩემს პარტიას — ნული წუთი. ჟურნალისტებსაც მივწერე, მარეგულირებელ კომისიასაც, ეთიკის ქარტიასაც, მაგრამ ვერავინ მიპასუხა. არადა, ამ პერიოდისთვის ძალიანაც აქტიური ვიყავი.

— თავად მიხვედით წინასაარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების აუცილებლობასთან. დღეს, მეტ-ნაკლებად, მთელი ოპოზიცია ინტერპარტიულ ჯგუფშია გაერთიანებული და საარჩევნო ცვლილებებს ითხოვს. ამ ჯგუფში რატომ არ ხართ?

— იცით, რამდენ საკითხზე ვითანამშრომლე მაგ პარტიებთან და მერე ყველა თემა და გადაწყვეტილება თუნდაც ერთი პარტიის ხუშტურების გამო შეიცვალა?! ასეთი იყო 50%-იანი ბარიერის დაწესება, სატელევიზიო ეთერისა და წინასაარჩევნო რეკლამის საკითხი... როცა ერთსულოვნება არ არის, აზრი არაფერს აქვს. რა გარანტია მაქვს, რომ ახლა მათ გვერდით არ დავდგები და უცებ, ვიღაც, ვინც ჩემზე კარგად იცის ვაჭრობა, რომელიმე შეთანხმებულ საკითხს არ შეცვლის ხელისუფლების სასარგებლოდ?

— რა გარანტიებს ეძებთ, არ მესმის. თითქმის ყველა პარტია შუალედურ არჩევნებს შემოდგომით ბოიკოტს უცხადებს. ამ ჯგუფიდან ერთმა ლიდერმა თქვა, რომ მხოლოდ თქვენი პარტიის პოზიციაა უცნობი და შესაძლოა მათი გეგმები ჩაშალოთ. ასეა?

— ინტერპარტიულ ჯგუფში არ ვარ და ვერანაირ გეგმას ვერ ჩავუშლი. საერთოდ, იმას უშვებთ, რომ ეს პარტიები ბოიკოტის რეჟიმში დარჩებიან და არჩევნებზე „ოცნებას“ მარტო დატოვებენ? ტყუილში აქეთ უნდა დაადანაშაულოთ! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა და მერე საზოგადოებას შეახსენეთ: პარტიებმა, ვინც ახლა ბოიკოტს უცხადებენ ხელისუფლებას, ხალხი უკვე არაერთხელ მოატყუეს და ისევ ასე იქნება! როცა საუბარი სარეკლამო დროსა და დაფინანსებაზე იყო, უცებ ნაციონალებმა ყველას 150 000 ლარი დაურიგეს და ყველა გაჩუმდა.

— უფრო სწორად, დაგირიგეს და გაჩუმდით!

— მე მაშინვე ვთქვი, რატომ გვაძლევთ ამ ფულს, რომელიც არ გვეკუთვნის, ამით რის კომპენსირებას ცდილობთ-მეთქი. ჩემს პროგნოზს გეტყვით: დარწმუნებული ვარ, ის პარტიები, ვინც ახლა ბოიკოტზე საუბრობენ, დღეს თუ არა, ხვალ ფულს მოითხოვენ! აბა, მაჟორიტარული სისტემა არ შეცვალეს, ფული მაგათ არ აქვთ და რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას?

— ნინო ბურჯანაძეს არ აქვს ფული, პატრიოტთა ალიანსს თუ ადგილობრივ არჩევნებზე ვერ გაიყვანეს ხალხი საკრებულოებში?

— პირდაპირ გეუბნებით: არავითარი ოპოზიციური ბოიკოტი არ იქნება, ოპოზიცია ვაჭრობს და ბოლოს მაინც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას.

— დავაზუსტოთ: ამ ბოიკოტში არ მონაწილეობთ?

— ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური თამაშია. არც დაიფიცონ და არც დაიგინონ, რომ ბოიკოტი შედგება. ყველანი ერთად, დიდი სიამოვნებით წავლენ არჩევნებზე! ბოიკოტი არ იქნება. თუ იქნება, პირობას გაძლევთ, არჩევნებზე მეც არ წავალ. თუმცა იმ ცვლილებებს, რაც ახლა ოპოზიციას სურს, არც ერთი ხელისუფალი არ გაატარებს. ეს „ოცნებას“ 2012 წელსვე უნდა გაეკეთებინა, თუ ამის პოლიტიკური ნება არსებობდა. რა აზრი აქვს ასეთ ბრძოლას, მით უმეტეს, როცა არ ვიცი, რას იზამენ პარტიები, ვის გვერდითაც უნდა ვიბრძოლო?! არ მინდა, ეს კითხვები გამიჩნდეს და ვინერვიულო, ასე უფრო მშვიდად ვარ. იმ ძალების პოლიტიკური დეკორაცია ვერ ვიქნები, ვისაც საარჩევნო კოდექსით სარგებლის ნახვა უნდა! საჩვენებლად ბევრჯერ გავერთიანებულვართ, მაგრამ მერე ერთი-ორი პარტია „პავაროტში“ შედიოდა და ჩვენ განზე ვრჩებოდით. ასე დაიშალა „რვიანი“, მერე „ექვსიანი“, ამიტომ სხვის შეცდომაზე თუ ვერა, საკუთარზე მაინც ვისწავლი. ამ პარტიებს, რეალურად, საარჩევნო კამპანია აქვთ დაწყებული, ალასანია ოპოზიციის მემორანდუმს ხელს აწერს და პარალელურად, რეგიონებში ოფისებს ხსნის. ტყუილია ეს ყველაფერი!

— გასაგებია თქვენი პოზიცია. კითხვები მაინც მრჩება: კეზერაშვილმა, რომლის მოადგილეც იყავით ფინანსურ პოლიციაში და კოდუებმა აწყობილი ბიზნესი წაგართვეს და დაგიჭირეს. მათ წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი რატომ არ შეიტანეთ?

— კეზერაშვილისგან წამოვედი და მქონდა ჩემი ბიზნესი, „ოპიზა“, რომლის გენდირექტორიც ვიყავი და 15%-იანი წილი. ამ საქმეზე ტყუილად დამიჭირეს და ესეც იცით, რადგან სწორედ თქვენ მოგეცით ჩემი საქმის მთავარი მოწმის ნამდვილი აღიარებითი ჩვენება, რომელიც მოგვიანებით დაწერა. რეალურად, ამ ბიზნესწილებს ირაკლი ოქრუაშვილი და კოდუები ყიდულობდნენ, რადგან ეს ერთადერთი საბაჟო ტერმინალი იყო საქართველოში საზღვაოს გარდა. ამ კომპანიის მეწილე იყო კობა ბექაურიც, რომელმაც თავისი წილი გაყიდა, თუმცა მაინც შეექმნა პრობლემები. დანარჩენი მეწილეები კი ჩემი დაჭერით დააშინეს. წილების ნაწილი კოდუებმა იყიდეს, ნაწილი — ოქრუაშვილმა და ვისაც ჩემი 15%-იანი წილი ერგებოდა, საკონტროლო პაკეტის მფლობელიც ის ხდებოდა. ბოლოს ისე მოხდა, ციხეში ჩემი ყოფნის დროს, ჩემს სახელზე მილიონიანი კრედიტი აიღეს, კომპანია გააკოტრეს, კრედიტი არ გადაიხადეს და მერე აუქციონზე გატანილი ეს კომპანია ამავე მილიონით იყიდეს. ეს ოპერაცია უკვე ოქრუაშვილის გაქცევის მერე შესრულდა. საჩივარს რაც შეეხება, პროკურატურას გავუგზავნე მასალები, მაგრამ პრეცედენტი ვერ დავინახე, რომ ეს ხალხი რომელიმე საქმეს რეალურად სწავლობდა და ვინმეს ქონებას უბრუნებდა, ამიტომ გავჩერდი. როგორც დათვალეს, უკანონოდ წართმეული თანხები 12 მილიარდს შეადგენს, დღეს კი ჩვენი ბიუჯეტი სამართლიანობის აღდგენისთვის მზად არაა და ეს პროცესი 10-15 წელი გაიწელება. თუ ამ საქმეს მსვლელობა არ მიეცემა, კიდევ ერთხელ შევიტან პროკურატურაში უფრო ვრცელ საჩივარს. სხვა რა უნდა გავაკეთო.

— ნოღაიდელი რომ გადააყენეთ, პარტია ჩამოართვით, ქონება დაუყადაღეთ და სასამართლოც მოუგეთ, ეგ პროცესი როგორ დამთავრდა, ფული თუ გადაგიხადათ და ამის მერე რა მოხდა?

— სულ ბოლოს სასამართლოდან ჩავიბარე უწყება, მისი მეუღლის ქონების ყადაღიდან გათავისუფლების შესახებ და დავთანხმდი. ჯამში დავალიანების ნაწილი დაბრუნდა. აღსასრულებელი კიდევ 100 000 ლარია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, აღარც ვიცი, ახლა ვის გამო უნდა ვიბრძოლო. ის, ვინც ამ თანხას ელოდა, დღეს სხვა პოლიტიკურ გუნდშია და მათზე რატომ უნდა ვინერვიულო?! ეს ადამიანები ძალიან მალევე წავიდნენ „ოცნებასა“ და ბურჯანაძის პარტიაში. გია სალუქვაძე ჩემი თანამებრძოლი იყო, მერე ნინო ბურჯანაძესთან წავიდა, მერე დაიჭირეს და პოლიტპატიმარი გახდა. დღეს კი „ოცნების“ გურიის გუბერნატორია. როცა „კარდაკარი“ და სხვა პროგრამები გვქონდა, რაც ფინანსებთან იყო დაკავშირებული, რა თქმა უნდა, მეტ ხალხს ვიზიდავდით, მაგრამ დღეს, როცა 15 მილიონის დახარჯვის საშუალება არ გვაქვს, სხვა გადაწყვეტილებები მიიღეს.

— კიდევ ერთ ტაბუდადებულ თემას შევეხოთ — რა ბიზნესები გაქვთ?

— მაქვს ჩემი საქმიანობის სფერო, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ბიზნესსექტორში ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები. პარტიასაც შენახვა სჭირდება. სამწუხაროდ, მე დამფინანსებელი არ მყავს.

— საბედნიეროდ, საკუთარი ფული გაქვთ სამშენებლო ბიზნესიდან.

— თქვენ რა იცით ამ ქარხნის შესახებ? რა საჭიროა ამ ყველაფრის გასაჯაროება. ამაზე არ ვსაუბრობ. თუმცა ბიზნესგარემოს თვალსაზრისით, ის შეიცვალა ახალი ხელისუფლების დროს, რომ შიში აღარ გაქვს, ხვალ ვიღაც არ შემომივარდესო.

— იმის გამო, რომ საკუთარი ფული გაქვთ, არსებობს ვერსია, ნაციონალებისგან გამოყოფილი 4 კაცი სწორედ თქვენთან მოვა, მით უმეტეს, ექსხელისუფლებაში მეგობრები ყოველთვის გყავდათ.

— ჩემთან მოსვლა რაში სჭირდებათ? საკუთარი საარჩევნო კამპანიის დაფინანსება შემიძლია, მაგრამ გამარჯვებისთვის მხოლოდ ეს არაა საკმარისი. საერთოდ, ნაციონალების წარმატება მათი ერთად ყოფნის შედეგი იყო, ახლა კი ეს ძალიან დაასუსტებს და ვერც ეს 4 ადამიანი შექმნის ახალ ცენტრს. ეს არც ნაციონლებთან შეთანხმებული თამაში მგონია. ასე რომ ყოფილიყო, კობა ხაბაზის „თავისუფალი ზონასავით“ მაინც იქნებოდნენ, პარტიიდან ფინანსებსა და სხვა რესურსებს წამოიყოლებდნენ. ჩემთან რომ მოვიდნენ, რა თქმა უნდა, მათთან თანამშრომლობას არ მოვისურვებ, თუმცა ოფისს მივაქირავებ. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა.

— სულ არის მითქმა-მოთქმა და ერთხელ და სამუდამოდ, უპასუხეთ — რა ურთიერთობა გაქვთ გივი თარგამაძესთან?

— გივი თარგამაძეს საერთოდ არ ვიცნობ და არც არასდროს ვიცნობდი. იცით, რამდენი მეგობარი მყავს დღევანდელ პარლამენტში, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც? უმეტესობას კარგად ვიცნობ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ნაციონალებთან კონტაქტები უფრო ჩემს დაჭერამდე მქონდა.

— კარგი, მაშინ კახა კალაძესთან რა ურთიერთობა გაქვთ, მის ბიზნესებს და „კალა კაპიტალს“ ხომ ზურაბ ნოღაიდელი ხელმძღვანელობდა?

— კი, ზურას ჰქონდა ურთიერთობა კახისთან, თუმცა ჩემსა და კალაძეს შორის პირადი ურთიერთობა არ ყოფილა. „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობაზე კი იყო საუბარი. ზოგადად, „ოცნებასთან“ ურთიერთობა ყოველთვის მქონდა, მაგრამ კოალიციაში ყოფნა არასოდეს მდომებია. მარტო წავედი არჩევნებზე და 2016 წელსაც იგივეს ვაპირებ. თუმცა სიმართლე გითხრათ, 2018 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის უფრო მოვემზადებით.

ვერსიანიუსი

შსს-ს „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის“ წევრებმა ქვემო ქართლში სამუშაო შეხვედრა გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს „ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის“ წევრებმა ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებსა და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეებთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით სამუშაო შეხვედრაზე 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო სიახლეები, სამინისტროს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიები და აქტივობები განიხილეს. შეხვედრის მონაწილეებმა ის პრაქტიკული ხარვეზები მიმოიხილეს, რაც სამართლებრივი მექანიზმების იმპლემენტაციის თვალსაზრისით არსებობს. მონაწილეებმა ერთმანეთს რეგიონში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის დასახული მიზნები და თანამშრომლობის გეგმები გაუზიარეს. შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები აისახება ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისიის მუშაობაში.

„ვერსიანიუსი“

გია ჯაჯანიძე „იმედზე“ ახალ გადაცემას იწყებს!

„ორი წელი სამოთხეში ვიცხოვრე!“ — აპირებს თუ არა პოლიტიკაში წასვლას „სხვა რაკურსის“ სკანდალური წამყვანი

ვანო პავლიაშვილი

...ბევრი ვიფიქრე, როგორ წარმედგინა. ბოლოს, გადავწყვიტე, მარტივად გითხრათ: მე და „ვერსია“ „სხვა რაკურსის“ სკანდალურ, გნებავთ, ეპატაჟურ წამყვანს, გია ჯაჯანიძეს ანუ უბრალოდ, ჯაჯოს წარმოგიდგენთ. ახლა შეიძლება, ვინმემ თქვას, ჯაჯანიძის არა-ჩვეულებრივი ინტერვიუს წაკითხვაში დრო რატომ უნდა დავხარჯოო. ნება თქვენია, ჩემო ბატონო, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ინტერვიუ თქვენს ხალისიან განწყობას ერთი-ორად აამაღლებს. მაშ, ასე: სმენა იყოს და გაგონება, „ვერსიაში“ არა-ჩვეულებრივი გია ჯაჯანიძის დროა.

— გია, უნდა გამრყვნა?

— (იცინის) ვანო, ვეღარ გაგრყვნი, რადგან ჩემზე გარყვნილი ხარ!

— ბიჭო, ხალხს არც „ლოგინის ამბებს“ ვალაპარაკებ და, სხვათა შორის, არც სრულიად ერი დამდევს ჩასაქოლად, შენზე გარყვნილი როგორ ვარ?

— იცი, საქმე რაშია? — თუ ადამიანი გარყვნილი არაა, ვერასოდეს გარყვნი! გინდა, გითხრა, ცხოვრება როგორ ვისწავლე? — ფილმებს რომ ვუყურებდი, მივხვდი, როგორი არ უნდა ვიყო! აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ ჩემს გადაცემას სხვა ანუ იმ კუთხით შეხედოს, როგორი არ უნდა იყოს და ასე იცხოვროს.

— ახლა ნუ ფილოსოფოსობ, რა?!

— ეს ცხოვრება ფილოსოფიაა!

„ჯაჯო“ ფილოსოფიური წიაღსვლების განვრცობას აპირებდა, მაგრამ არ დავანებე — ზედა ტუჩითან, მარცხენა მხარეს, ხალზე მივაშტერდი და, გულწრფელად გაოცებულმა ვკითხე:

— ხალი „გაიკეთე“?

— (გულიანად იცინის) არა... ვანო, რა გემართება?.. ეტყობა, ახლა კარგად დამაკვირდი, თორემ ეს ადგილი სულ ამობურცული მაქვს!.. შოუებისთვის, სახეზე რაღაც „წამიტიტყნია“, მაგრამ მთელი ცხოვრება, სარეცხის საპონს ვხმარობ, ბრენდები, საცხები და რაღაცები არ მიყვარს. საერთოდ, ყველაფერი ბუნებრივი მიყვარს.

— არადა, საზოგადოების ნაწილი არაბუნებრივს გეძახის...

— არაბუნებრივს იმიტომ მეძახის, რომ კომპლექსი აქვს!

— შენზე კომპლექსიანი ვინაა? — წლებია, ვმეგობრობთ და დღემდე მეუბნები, შენი მეშინიაო...

— ადამიანის რომ გეშინია, ეს კომპლექსია? შენი იმიტომ მეშინია, რომ თბილად, ტკბილად, ღიმილით ისეთ კითხვას დასვამ, თითქოს არაფერი, მაგრამ... ვანო, იცი, როგორი ხარ? — გველი წიწილას რომ ყლაპავს და წიწილა დაჰიპნოზებულია. აი, ასე უშვრები რესპონდენტებს — აშტერებ და გულწრფელად გელაპარაკებიან!

— თუ ეს კომპლიმენტია, მადლობა... ისე, გადაცემაში, მაპატიე და, სულ ბოზებსა და საეჭვო რეპუტაციის ხალხს რატომ იწვევ, დავიჯერო, ამ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში უფრო საინტერესო არაფერი ხდება?

— მომისმინე: არავინ იცის, ვინაა ბოზი და გარყვნილი. ვიცნობ ადამიანს, რომელსაც ბოზს ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში, ძალიან პატიოსანია.

— შენ პატიოსანი ხარ?

— ძალიან წესიერი ვარ!

— არასოდეს გიბოზია?

— არა!

— სამი თუ ოთხი ცოლი გყავდა და ესაა პატიოსნება?

— შენ ცხოვრებაზე რა ცუდი წარმოდგენა გქონია! ყველა ცოლად მომყავდა, რომ ბოზობა არ ყოფილიყო.

— ესე იგი, სულ სამ-ოთხ ქალთან ხარ ნამყოფი?

— სამი ცოლი მყავდა, თორემ გახმაურებული რომანებიც მქონია... კარგი, ვანო, ახლა, მამაო ჟურნალისტი გახდი თუ რა დაგემართა?

— მინდა, აღსარება ჩამაბარო!

— სამოქალაქო აღსარებას ჩაგაბარებ, სულიერს — არა!

— ამას წინათ, სოცქსელში წავიკითხე, ნეტავ, ბადრი წამოახედა და ანახა, ამ ჯაჯანიძემ მისი ეროვნული სულისკვეთების ტელევიზია რა დღეში ჩააგდოო...

— იმას ვაჩვენებ, რაც ხდება! დაფარული და დამალული დალპება, ვიდრე დალპება, მინდა, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ნახოს! მგონია, ყველა ქვეყანას ჰყავს რაღაც ჯგუფი, რომელიც ზის და აკვირდება, რა მდგომარეობაშია ერი და ზრუნავს, აქედან როგორ გამოიყვანოს. თუ საქართველოში ასეთი ჯგუფი არ არის, უნდა შეიქმნას.

— მაშასადამე, შენ და შენს პროდიუსერებს პრეტენზია ერის დედმამობაზე გაქვთ?

— არა! ჩვენ, უბრალოდ, ვაჩვენებთ, საზოგადოებამ კი უნდა დაინახოს! საერთოდ, ძალიან მოკრძალებული ვარ და ზომიერი ამბიცია მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ვანო, შენ მაინც იცი, რომ განდიდების მანია არ მაქვს...

— გია, ვთქვათ, „სხვა რაკურსში“ პრეზიდენტი მარგველაშვილი რომ დაპატიჟო, ისეთ რამეს კითხავ, რაც არავის უკითხავს?

— ექსკლუზიურად გეუბნები: დეკორაცია მზადდება და ძალიან მალე ახალ გადაცემას დავიწყებ, რომელიც პირისპირ საუბარი იქნება.

— გადაცემას რა ერქმევა?

— ჯერ არ ვიცი... გადაცემის სტუმრებს ყველა კითხვას დავუსვამ.

— მაგალითად, მარგველაშვილს რას კითხავ?

— არ ვიცი... ვანო, არასოდეს მინახავს, კითხვები ჩამოწერილი გქონდეს. ჩემი ხიბლიც ესაა — წინასწარ არ ვიცი, რა კითხვას დავსვამ!

— ახალი გადაცემაც აპოლიტიკური იქნება?

— პოლიტიკას „გავკრავთ“.

— პოლიტიკაში ხომ იმბეცილი ხარ, გია!

— რომელიმე მინისტრი რატომ უნდა მიყვარდეს ან არ მიყვარდეს? პოლიტიკა ჩემი საქმე არაა და ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს, თუმცა როგორც მოქალაქემ შეიძლება, კითხვა დავსვა...

— ...ლარის დევალვაცია შეგეხო?

— არა!

— ვა, ამხელა ანაზღაურება გაქვს, რომ ეროვნული ვალუტის კომა ვერ იგრძენი?

— ანაზღაურება რა შუაშია? რაც გავჩნდი, ბრეჟნევის დროიდან...

— ნუ მატყუებ: ბრეჟნევამდე გაჩნდი!

— 1962 წელს დავიბადე...

ოთახში ვიღაც შემოვიდა და იძულებულნი გავხდით, საუბარი გაგვეწყვიტა. შემოსწრებულმა 15-20 წუთში დაგვტოვა. „ჯაჯო“ ალბათ ელოდა, დიალოგს მისი დაბადების წუთ-წამიდან გავაგრძელებდი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცამოწმენდილზე ვაჯახე:

— პლანი მოგიწევია?

— არასოდეს... ნარკოტიკი საერთოდ არ მაქვს გასინჯული. ცხოვრებაში ერთადერთხელ დავთვერი, მაშინ 16 წლის ვიყავი...

— სასმელს ვერ იტან?

— თავი გაბრუებული რომ მაქვს, მძულს!

— ბორდელში ყოფილხარ?

— გადაღებაზე...

— არ გინდა, ქალთან შენს პირველ კონტაქტზე მიამბო?

— არა — დიდი ვარ და არ შეიძლება.

— დიდებისთვის ყველაფერი შეიძლება... ქალთან ბიძამ წაგიყვანა თუ უფროსმა ძმაკაცმა?

— არა, კაცო... ერთი ქალი იყო, რომელთანაც ხშირად დავდიოდი — ლექსებს მიკითხავდა. მოკლედ, კარგი ურთიერთობა მქონდა...

— ეს ამბავი ჭიათურაში მოხდა?

— კი... ვაიმე, მრცხვენია...

— ნუ გრცხვენია, დამშვიდდი, თვალებში მიყურე და ისე ილაპარაკე...

— კარგი, მოვყვები, რას დავეძებ... 15 წლის ვხდებოდი... საჭმელს ვჭამდი, ამ ქალმა მითხრა, ღვინოს დალევო? არა-მეთქი.

— ქალი რამდენის იყო?

— ალბათ, 28-30 წლის... ბოთლის თავსახურით კონიაკი დავლიე და ცოტა გავბრუვდი... ქალი უკნიდან მომიახლოვდა, ჯერ კისერზე მაკოცა და... ასე მოხდა, რა...

— სიამაყე დაგეუფლა?

— იცი, როგორი განცდა მქონდა? — რაღაც ახალი ეტაპი დაიწყო. საერთოდ, აღფრთოვანებები არ მახასიათებს.

— ...გია, წელან თქვი, ერთი „ჩინდრიკა“ ვარო. „ჩინდრიკა“ რას ნიშნავს?

— „ჩინდრიკა“ დაბალს და საყვარელს ნიშნავს. იცი, ეს სიტყვა საიდან მოდის? — ჯირკვიდან.

— ...მართალია, ახალი გადაცემის დაწყებას გეგმავ, მაგრამ ვეჭვობ, მალე სამსახურის გარეშე დარჩები...

— იცი, ცხოვრება რატომ მიადვილდება? — დედამიწის ზურგზე არ არსებობს თემა, რომელზეც არ მიფიქრია. სამსახურის გარეშე რომ დავრჩე, სამი დღე დავისვენებ და...

— და უსაქმურობისგან, შეიძლება, პოლიტიკაშიც წახვიდე, არა?

— ადრე ვამბობდი, პოლიტიკა არ არსებობს-მეთქი, მაგრამ ახლა არაფერს გამოვრიცხავ. არ ვიცი, ჩემგან როგორი პოლიტიკოსი დადგება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ადამიანებს არ მოვპარავ — კანონმორჩილი და კანონმოშიში ვარ!

— ავტოსაგზაო მოძრაობის წესებს მუდამ არღვევ და კანონმორჩილებას ამას ეძახი?

— ამას მიზანმიმართულად არასოდეს ვაკეთებ.

— კორუფციაც ასეა, ჩემო გია, თან პოლიტიკა ადამიანებს აცდუნებს! ისე, არ გაინტერესებს, უმუშევრობას რატომ გიწინასწარმეტყველებ?

— მაინტერესებს...

— რაინდი ვასაძე „არანორმატიული სექსუალური ცხოვრების“ შესახებ კანონის მიღებას ითხოვს და თუკი ეს ინიციატივა დაკანონდა, შენს გადაცემას რაღა აზრი ექნება?

— მომისმინე, რა გითხრა: თუ სამსახურის გარეშე დავრჩი, რაინდს შემახვედრე და პირობას გაძლევ, მასთან მუშაობას დავიწყებ! მგონია, რომ ჩემზე ეროვნული და ტრადიციული ადამიანი დედამიწაზე არ დადის!

— ჩოხა გცმია?

— ერთხელ, შოუს დასჭირდა...

— ...გია, ახლა რაღაზე ვილაპარაკოთ?

— ფანტაზია არც შენ გაკლია და არც მე. ჰოდა, რაც გინდა, მკითხე და გიპასუხებ.

— არჩევნებში მონაწილეობ ხოლმე?.. ბოლოს ვის მიეცი?

— ყველას!

— გია, როგორ შეიძლება, ყველას მისცე?

— დამაცადე: მას, ვისთვისაც ხმა მიმიცია, გაუმარჯვია! თავის დროზე, ბადრი პატარკაციშვილს მივეცი...

— მერკანტილური მოსაზრებით?

— არა, მჯეროდა...

— მიშასი რატომ არ გჯეროდა?

— ადრე ხმა მიშასაც მივეცი...

— მედროვე ხარ?

— არა, უბრალოდ, ძალიან დიდი პრობლემა მაქვს: ყველა არხის საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებ და ყველასი მჯერა.

— საკუთარი თავის გჯერა?

— ხანდახან ვფიქრობ, არ ვარსებობ და მოჩვენება ვარ!.. გინდა, ჩემი თავი დავახასიათო?

— აბა, გისმენ!

— ძალიან გულჩვილი, უკიდეგანოდ კეთილი და საოცრად მორცხვი ვარ!

— არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვს?

— მთლად უკომპლექსო არ ვარ...

— საკუთარი თავის პატიება შეგიძლია?

— არის რაღაცები, რასაც ვერ ვაპატიებ. იმ ადამიანის, ვისაც სინანული არ აქვს, არ მჯერა. შეცდომას რომ დავუშვებ, მერე სულ სინანულში ვარ ხოლმე. მეტი რა პატიება გინდა, ჩემებისთვის მაქვს ნათქვამი, თუ მომკლავენ, არ უჩივლოთ-მეთქი.

— გინდა, ამ კუთხით ექსპერიმენტი ჩავატაროთ და მოგკლა?

— აქ არა, თავისუფლების მოედანზე წავიდეთ და იქ მომკალი — აბა, ოთახში მოკვლა რა არის?!

— ...გია, იცი, ჩიორა ვინაა?

— ნაციონალია, მაგრამ გვარი არ ვიცი...

— წარმოიდგინე, ჩიორასთან ერთად, ლიფტში გაიჭედე. რას იზამ?

— ვკითხავ, გულწრფელი ხარ-მეთქი?.. თუ სიბნელის შეეშინდება, ტელეფონით გავანათებ, დავამშვიდებ და გავართობ.

დასასრული მე-6 გვერდზე

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს

ვარკეთილის III მიკრორაიონში განახლებული სერვისცენტრი გაიხსნა

11 ივნისს, ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ საცალო საბანკო მომსახურების დარგში, არმენ მატევოსიანმა, თბილისში ვარკეთილის III მიკრორაიონში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისცენტრი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ახალი სერვისცენტრი 6,000-მდე მომხმარებელს მოემსახურება.

სერვისცენტრში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა, ინტერნეტბანკის გააქტიურება, ლიბერთი ანგარიშის გახსნა, საპენსიო მომსახურების მიღება და სხვა.

აღნიშნული სერვისცენტრის გახსნა საშუალებას მისცემს ვარკეთილის მოსახლეობას, მიიღოს სხვადასხვა საბანკო და არასაბანკო მომსახურებები სწრაფად და მარტივად.

ლიბერთი ბანკი საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელშია წარმოდგენილი. ლიბერთი ბანკმა ბოლო 5 წლის განმავლობაში 130-ზე მეტი ფილიალი და სერვისცენტრი თანამედროვე სტანდარტებით განაახლა. ბანკი საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით, 630-ზე მეტი მომსახურების წერტილით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.5 მილიონზე მეტ ფიზიკურ და 69,000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის განახლებულ ფილიალებსა და სერვისცენტრებში ასევე წარმოდგენილია ბანკომატები და თვითმომსახურების ტერმინალები, რომელთა გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია თანხის განაღდება, ანგარიშზე თანხის შეტანა, სესხის დაფარვა, სესხის აღება, კომუნალური და სხვა გადასახადების გადახდა. ფილიალების მოდერნიზებასთან ერთად, ლიბერთი ბანკი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა დისტანციურ მომსახურების არხებს, რომელთა გამოყენებით მომხმარებელს საბანკო მომსახურება ბანკში მიუსვლელად შეუძლია, რაც საბანკო მომსახურებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის.

ლიბერთი ბანკი მომავალშიც გეგმავს ახალი ფილიალებისა და სერვისცენტრების ქსელის გაფართოებას საქართველოს მასშტაბით.

გია ჯაჯანიძე „იმედზე“ ახალ გადაცემას იწყებს!

მე-5 გვერდიდან

— გაგებული გექნება, ქართულ პოლიტიკაში ჩქმეტა მოდურია. ჰოდა, ვთქვათ, გადაცემაში შალვა ნათელაშვილი დაპატიჟე და უცებ გიჩქმიტა...

— უიმე, სიცილით გავიგუდები, თუმცა გააჩნია, სად მიჩქმეტს!

— ...გოიმობა განკურნებადია?

— ხანდახან წავიგოიმებ და გოიმური რაღაცები მინდება ხოლმე. გოიმობა ყველა ადამიანშია. გოიმობაა, უკნიდან რაღაც ბრენდის „მარკა“ რომ უჩანთ...

— ჩამოსული რომ ხარ, არ გიტყდება?

— არა!.. ჭიათურაში რომ ჩავდივარ, ძალიან სევდიანი ვხდები...

— თავი რომ დაგემკვიდრებინა, ყველაფერზე წახვედი?

— არა, ჩემს სიცოცხლეს ვფიცავ, სტიქიურად მივდიოდი, ოღონდ არ ვიცოდი, რისკენ. ადრე, ერთ-ერთი ტელევიზიის დილის გადაცემაში ლექსებს ვკითხულობდი, კადრში არ ვჩანდი, თუმცა მაღაზიაში შევედი, გამყიდველს ველაპარაკებოდი და უცნობმა ქალბატონმა მკითხა, ის ხომ არ ხართ, დილაობით ლექსებს რომ კითხულობსო. დედა, ხმით რომ მიცნეს, ძალიან გამიხარდა. მერე, ეკრანზეც გამოვჩნდი...

— ...საბჭოთა ჯარში „დედოვშჩინის“ მსხვერპლი ხომ არ გახდი?

— არა.

— რატომ?

— გრძელი ამბავია... ჩემს ცხოვრებას ძალიან დიდი მისტიკა აქვს.

— ეს რა შუაშია?

— ფილარმონიაში „ივერიის“ კონცერტი იყო, თბილისში ჩამოვედი, მე და ჩემმა დეიდაშვილმა ბოთლები ჩავაბარეთ და ორი ბილეთი ვიყიდეთ, მაგრამ ჩემი დეიდაშვილი კონცერტზე არ გამოუშვეს და მარტო წავედი.

— ამ დროს რამდენი წლის იყავი?

— სკოლის მოსწავლე... ფილარმონიასთან „სპეკულიანტები“ ბილეთებს ყიდდნენ. ერთი კი გავიფიქრე, მოდი, ერთ ბილეთს, რომელიც ხუთი მანეთი ღირდა, ძვირად გავყიდი-მეთქი, მაგრამ ვიღაც სამხედრო მომიახლოვდა და მეკითხება, ბილეთი ხომ არ გაქვსო. დიახ-მეთქი. რა ღირსო? არაფერი-მეთქი და ვაჩუქე...

ჯარში წამიყვანეს, ლენინაკანში, საშინელ ნაწილში მოვხვდი... ჩემი ზომის სამხედრო ფორმა არ არსებობდა. უბედურად გამოვიყურებოდი...

— არ დაგცინოდნენ?

— არა, ისეთი სასაცილო ვიყავი, რომ აგრესია არავისგან მოდიოდა... ვეგეტარიანელი ვარ და მხოლოდ პურსა და კომპოტზე ვიყავი. ვფიქრობდი, ალბათ, დავეცემი და მოვკვდები-მეთქი... სამი დღის ჩასულები ვართ, „სტროიში“ ვდგავართ, „კოლხოზნიკით“ ვიღაც საშინელი ტიპი მოვიდა. ჩემი გვარი ამოიკითხა, ავიხედე და ის ტიპი შემრჩა, ბილეთი რომ ვაჩუქე. გავცოცხლდი... მხარზე ხელი დამადო... ვანო, ამიტომ გითხარი, ჩემი ცხოვრება მისტიკაა-მეთქი — ხუთ მანეთად, ორი წელი სამოთხეში ვცხოვრობდი!.. ერთხელ, ორი კვირით, სადღაც გააგზავნეს. „ყარაულში“ დამაყენეს, მციოდა, ავტომატი მოვიხსენი, ცეცხლი დავანთე და... მთელი ამბავი ატყდა, ცეცხლი ჩამაქრობინეს და „გაუბახტში“ ჩამსვეს. ორი დღის შემდეგ, ის სამხედრო ნაწილში დაბრუნდა და გამომიყვანა.

— „ფილარმონიის ნაცნობთან“ მეგობრობა ჯარის მერეც გააგრძელე?

— არა, მხოლოდ ერთხელ შევხვდი...

— გია, შენი და გუგა კვიტაშვილის მეგობრობაზე ლეგენდები დადის. მისი გარდაცვალების შემდეგ, ხომ არ ფიქრობ, რომ მარტო ხარ?

— გუგასნაირი მეგობარი არ მყოლია, მაგრამ მარტოობის შეგრძნება არასოდეს მაქვს!

— რისი გეშინია?

— ახალგაზრდობაში სიკვდილის მეშინოდა. ახლა კი, არაფრის მეშინია, თუ იმას არ ჩავთვლი, რომ ბნელ სადარბაზოში ფეხი არაფერს წამოვკრა.

— არ გინდა, ბიძინა ივანიშვილი გაიცნო?

— ძალიან — ჩემი შეგრძნება მაინტერესებს.

— ანუ ცოცხალ მილიარდერს ხელს რომ ჩამოართმევ, რას იგრძობ?

— ცოცხალი მილიარდერები ნანახი მყავს... მგონია, რომ ჟურნალისტები მასთან შეხვედრისას ნერვიულობენ. მაინტერესებს, მე ავღელდები თუ არა.

— გია, მოდი, ახლა, რამე შენ მკითხე...

— ვანო, ძალიან თბილად ლაპარაკობ და ისეთ კითხვებს სვამ, ადამიანი ვერ ხვდება, რომ აშიშვლებ... სულ მგონია, რომ ძალიან ბევრ რაღაცას მალავ... რა იმალება ვანო პავლიაშვილის უკან, რატომ ხარ უშიშარი?

— არ მგონია, რომ უშიშარი ვარ!

— კი, ხარ, თუმცა დიდი ცინიზმიც გაქვს... ცინიკოსი რატომ ხარ?

— არ ვიცი... არ გინდა, რომის პაპი იყო?

— არა... ისეთ რამეზე არასოდეს მიოცნებია, რაც არ შემისრულდება. პატარა მოთხოვნები მაქვს და მისრულდება!..

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი და KPMG Georgia საქართველოს მასშტაბით დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების თაობაზე ღია სემინარებს ჩაატარებენ

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში მაგისტრანტების მიღება ბიზნესის ადმინისტრირებაზე ფინანსებში დაიწყო

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტმა საერთაშორისო აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია KPMG Georgia-სთან ერთად, საქართველოს მასშტაბით, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების თაობაზე ღია სემინარების ჩატარება დაიწყო. საწყის ეტაპზე სემინარები რეგიონებს მოიცავს — 12 ივნისს თელავის, 15 ივნისს ქუთაისის, 16 ივნისს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ნებისმიერ მსურველს და დაინტერესებულ პირს შეეძლება, დაეუფლოს თუ აიმაღლოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც სამსახურის დასაწყებადაა აუცილებელი. სემინარზე დასწრება სასარგებლო იქნება ყველასთვის, ვისაც სურს, ისწავლოს ეფექტური გასაუბრების ტექნიკა დამსაქმებელთან ურთიერთობისას.

ღია სემინარზე ისეთ აქტუალურ საკითხებს განიხილავენ, როგორიცაა, მაგალითად რეზიუმეს (CV) შედგენა, სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრების ინტერვიუს კითხვებისთვის მომზადება და მათზე სწორი, ეფექტური პასუხების გაცემა. ღია სემინარის მსმენელებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, მათთვის საინტერესო დამატებით საკითხებზე მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია და რჩევები.

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის რექტორის, **აკაკი ხელაძის** განმარტებით: **„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, ადამიანებს მისცეს რეალური შესაძლებლობა, მიიღონ ხარისხიანი განათლება. უკვე დაიწყო მიღება მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირებაზე, აღსანიშნავია, რომ საუკეთესო 5 სტუდენტს სრულად დაუფინანსდება სწავლის საფასური. საქართველოს ბანკის უნივერსიტეტისთვის ასევე მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სტუდენტის განვითარებას კარიერული წინსვლის და დასაქმების კუთხით, სწორედ აქედან გამომდინარე, ტურნეს ფარგლებში, ღია სემინარზე დასწრების საშუალება ექნება ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების სწავლა“.**

აკაკი ხელაძემ ზოგადად უნივერსიტეტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გასული წელი სასწავლებლისთვის წარმატებული იყო: **„უნივერსიტეტმა მიიღო პირველი სტუდენტები. შეიძლება ითქვას, გვქონდა ერთ-ერთი ყველაზე კარგი მიღება რაოდენობისა თუ ხარისხის თვალსაზრისით. ხარისხზე ორიენტირი, პრაქტიკისა და თეორიის საუკეთესო ბალანსი, კარგი პროფესორ-მასწავლებლები, საქართველოს ბანკის ტოპმენეჯმენტი, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართულია სასწავლო პროცესში — ყველაფერი ეს ერთად იზიდავს ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტებს და მათ მოტივაციასაც უქმნის. მალე სხვა სიახლეებიც გვექნება ინფორმატიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების სახით“.**

„საქართველოს ბანკის“ ტრენინგდეპარტამენტის ხელმძღვანელის, **თინა ბალავაძის** განმარტებით, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში დაგეგმილი ღია, უფასო სემინარები გათვალისწინებულია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ასაკით უფროსი ადამიანებისთვისაც — ზოგადად მათთვის, ვისაც სურს, გაიუმჯობესოს უნარები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დამსაქმებელთან გასაუბრებისას. სემინარი ერთჯერადი ხასიათის არ იქნება და მომავალშიც არაერთხელ ჩატარდება, რა თქმა უნდა — დედაქალაქშიც.

KPMG Georgia-ს წარმომადგენელი, ტრენერი **ანი გოცირიძე** დარწმუნებულია, რომ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტთან ერთად წამოწყებული პროექტი ეფექტური იქნება და სამსახურის მაძიებლებს დასაქმებაში დაეხმარება.

ნინო ლურსმანაშვილი

ექსკლუზიური ვერსია

ემიგრანტებს შეზღუდვები დაუწესეს!

მე-3 გვერდიდან

ემიგრანტების სახელით, ოკრიბელაშვილი ქართულ მედიასაც საყვედურობს და ამბობს, რომ ამ ადამიანებზე გადაცემები არ კეთდება, სადაც მათი პრობლემები რეგულარულად გაშუქდება. კარგი იქნება, თუ პირობითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ნებისმიერი გადაცემა, მათ შორის საინფორმაციოც, ეთერში ინგლისური სუბტიტრებით გავა. ქართველ ემიგრანტს, რომელიც ამა თუ იმ ოჯახში მუშაობს, ტელევიზორის ჩართვასა და ქართული არხების ყურებას არავინ უკრძალავს. თუ გადაცემები ინგლისური სუბტიტრებით გავა, ცხადია, ამ ემიგრანტის დამსაქმებლებიც გაიგებენ, რა ხდება საქართველოში: **„იცით, რამხელა პრობლემაა ემიგრანტის საქართველოში გადმოსვენება? დღეს, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, ემიგრანტს სახელმწიფო ხარჯით იმ შემთხვევაში გადმოასვენებენ, თუ სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა. საბერძნეთიდან გადმოსვენება 3 000-დან 4 000 ევრომდე ჯდება, ამერიკიდან უფრო ძვირია. საბერძნეთში ეს პრობლემა საკმაოდ მწვავეა, რადგან ემიგრანტების ასაკი მაღალია. ვფიქრობ, სოციალური სტატუსის განურჩევლად, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ემიგრანტების საქართველოში გადმოსვენება“.**

რას აკეთებს სახელმწიფო ემიგრანტებისთვის

როგორია სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია? რას აკეთებს ქვეყანა ემიგრანტების პრობლემების გადასაჭრელად და რამდენად რეალურია, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებსაც საკმაოდ სოლიდური შემოსავალი აქვთ, სამშობლოში ერთგვარ ინვესტორებად იქცნენ? „ვერსია“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, სანდრო ბრეგაძეს დაუკავშირდა:

— ჩემთვის და ჩვენი სამინისტროს თითოეული მუშაკისთვის, ყველა ადამიანი, რომელიც საქართველოს ფარგლებსგარეთაა წასული, ემიგრანტად ითვლება. მეტიც, ადამიანები, რომლებიც წლების წინ ლუკმა-პურის საშოვნელად მხოლოდ იმიტომ წავიდნენ, რომ ჯერ შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, საკუთარი ნიჭის რეალიზება ვერ მოახდინეს, იძულებულნი არიან, მძიმე შრომის ხარჯზე არჩინონ ოჯახები, მხოლოდ ემიგრანტები კი არა, სოციალური გმირები არიან! არავის უხარია მძიმე სამუშაოს შესრულება, მით უმეტეს, არავის ახარებს საკუთარი ოჯახისგან, შვილებისგან შორს ყოფნა, მაგრამ ისევ საკუთარი ოჯახის გამო, იძულებულია, უცხოეთში იყოს. ამ ადამიანებს სათანადო დაფასება სჭირდება. ჩვენი მისიაა, ადრე თუ გვიან, საქართველოში ეკონომიკურად ისეთი სტაბილური მდგომარეობა შეიქმნას, ეს ღირსეული ადამიანები სამშობლოში დაბრუნდნენ. დღეს რომ უცხოეთში არიან, წინა ხელისუფლებების კორუფციული და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია. სამწუხაროდ, მძიმე სამუშაოს საკმაოდ ნიჭიერი მეცნიერები, მშენებლები, ხელოვანები ასრულებენ. ეს ქართული ოქროს ფონდია, რომლებსაც საშუალება უნდა მივცეთ, საკუთარი პროფესიით გააგრძელონ საქმიანობა, რაც საშური საქმე იქნება. ჩვენი სამინისტრო ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს. ეს ადამიანები მართლაც დიდ საქმეს აკეთებენ ქართული კულტურის შესანარჩუნებლად. ხშირ შემთხვევაში, საკუთარი ძალებით აწყობენ ქართულ საღამოებს, ჰყავთ ფოლკლორული ანსამბლები. ისინი, რომლებიც ოჯახებით არიან წასულები, შვილებს ქართულს ასწავლიან და ცდილობენ, საკუთარი იდენტობა და ტრადიციები შეუნარჩუნონ. ესეც დასაფასებელია.

— ბატონო სანდრო, საბერძნეთიდან თვეში მხოლოდ 910 ევროს გამოგზავნაა შესაძლებელი, რის გამოც შესაძლოა, გადმორიცხვები შემცირდეს. გარდა ამისა, განბაჟების გარეშე, ემიგრანტები მხოლოდ 110 ევროს ღირებულების ამანათის გამოგზავნას შეძლებენ, ადრე ეს თანხა 150 ევრო იყო. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

— ჩვენი ერთ-ერთი ფუნქციაა, გარკვეული პროვაიდერები ვიყოთ ემიგრაციის წარმომადგენლებსა და შესაბამის უწყებებს შორის, თუნდაც ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად. ჩვენმა სამინისტრომ მაქსიმუმი გააკეთა, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, დიასპორულ გადმორიცხვებზე საინტერესო პროგრამა წარადგინა. მისი ერთ-ერთი შედეგი იყო, რომ „კაპიტალბანკთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც დაბალი, თითქმის მიზერული საპროცენტო განაკვეთით განახორციელებდა გადმორიცხვებს. ფინანსთა სამინისტრო მონდომებულია, დიასპორის წარმომადგენლებს ამანათების გამოგზავნა გაუადვილდეთ. ვეცდებით, ეს პრობლემები ისე დარეგულირდეს, რომ ემიგრანტები არ დაზარალდნენ. ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის.

— რეალურია, რომ ემიგრანტები საქართველოში ერთგვარ ინვესტორებად იქცნენ, რათა შეძლონ მცირე და საშუალო ბიზნესში თანხის დაბანდება, ან რა კონკრეტულ ნაბიჯებს დგამთ ამ მიმართულებით?

— ცალსახად გვაქვს გაცხადებული, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე, მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგრამა შეიმუშავა, თუნდაც „აწარმოე საქართველოში“, ასევე სოფლის მეურნეობის მიმართულებით. შესაბამისად, თუ ქართული დიასპორის წარმომადგენლების სურვილი იქნება, ამ პროგრამების საშუალებით, საქართველოში საკუთარი საქმიანობა განახორციელონ, შექმნან საწარმო და ააწყონ ბიზნესი, მხოლოდ მოხარულები კი არა, ინიციატორები ვიქნებით, დავეხმაროთ. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი ქართველი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვს, დაბრუნდეს. ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. რამდენიმე ადამიანს, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობდნენ და მცირე კაპიტალი გააჩნდათ, საქართველოში ბიზნესსაქმიანობის წამოწყებაში დავეხმარეთ და ახლაც ვეხმარებით. ერთგვარი შუამავლები ვართ იმ უწყებებთან, რომლებსაც ამ პროგრამების განხორციელება ეხება. სამწუხაროდ, ვერავის ვაიძულებთ, საკუთარი კაპიტალი დააბანდონ საქართველოში. ჩვენ მიერ ჩატარებული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“, რომელიც რამდენიმე კვირის წინ დასრულდა, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. უცხოეთში, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველი ემიგრანტები ჩამოვიყვანეთ და აქაურ კოლეგებს შევახვედრეთ, რათა გამოცდილება გაეზიარებინათ. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში, ეს ფორუმი შედეგს გამოიღებს. ყველაზე მეტად ჩვენ ვართ დაინტერესებულნი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაბრუნდეს სამშობლოში და კითხვის ნიშნის დასმაც კი არ შეიძლება, რა პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს. სახელმწიფოს ცალსახად აქვს ასეთი პოლიტიკა, მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ნებისმიერ, ნორმალურ წამოწყებას, რომლის ინიციატორიც ემიგრაციის წარმომადგენელი იქნება!

ზესტაფონელი შალვოვიჩის ალიარებითი ჩვენება

როგორ გაყიდა ებრაელი მეგობრის 50-ათასდოლარიანი როიალი პატიმარმა საყვარლის „ჩულქისთვის“

პატიმარი №0578

დამწყები კრიმინალების ერთ-ერთი მთავარი მინუსი ისაა, რომ მოპარული თუ ნაძარცვი ნივთის რეალური ღირებულება არ იციან. არცთუ იშვიათად, დამწყები ქურდები ბინაში შესულან, ოქროულობა და ტექნიკა წაუღიათ, ხოლო კედელზე ჩამოკიდებული ნახატებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ასე მაგალითად, თბილისში, ერთ-ერთი ბინის გასუფთავებისას, ქურდებმა გუდიაშვილის ორი ნახატი საერთოდ ვერ თუ არ შეამჩნიეს. საუბარი მხოლოდ ფერწერულ ტილოებზე არ არის. ხშირად, ოქროს ძველი ნამუშევრები უბრალოდ გადაუდნიათ და „ჯართად“ გაუყიდიათ.

ზესტაფონელი შალვოვიჩი რუსთავის №17 ზონაზე პოპულარული კაცი იყო. მის პოპულარობას ორი მიზეზი ჰქონდა — ძალიან სასაცილო შეხედულება ჰქონდა და იუმორის საოცარი გრძნობაც გააჩნდა. როგორც თავად ამბობდა, სასჯელს რისთვის იხდიდა, არ იცოდა. სამაგიეროდ, იცოდნენ სხვებმა — შალვოვიჩი თაღლითობისა და ქურდობისთვის იყო ნასამართლევი.

„შალვოვიჩ, როგორი ამინდი იქნება დღეს ზესტაფონში?!“ — ჰკითხა ერთხელ ზესტაფონელმა გელამ და იმანაც ღიმილით მიუგო: „გააჩნია, ფერო რა სიმძლავრით იმუშავებს“...

შალვოვიჩს პატიმარი №0578-იც კარგად იცნობდა და მეგობრებმა რამდენჯერმე წააქეზეს, მოაყოლე თავის ისტორია, საინტერესოაო. №0578 კი ზესტაფონელს არასერიოზულ კაცად აღიქვამდა და ამიტომ, არ ესაუბრებოდა, თუმცა ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. ერთ-ერთ პოპულარულ შოუში, ასევე პოპულარული ადამიანების სახლები აჩვენეს, მეორე დღეს კი შალვოვიჩი მთელ ზონაზე გაჰკიოდა, ნახეთ ჩემი როიალი, მე მაგის დედა ვატირეო. საღამოსკენ №0578-მა შალვოვიჩის საკნის კარი შეაღო.

„ხვალ დილით ჩამოვალ, საქმე მაქვს და არ გავარდე ადრიანად, არ მაძებნინო თავი“, — უთხრა ზესტაფონელს.

„მევიდა ჩემი ჯერიც, ხო? მიხვდი, არა, ვიღაც შტერი რომ არ ვარ“, — გაეღიმა შალვოვიჩს, თუმცა №0578-მა არაფერი უთხრა და მეორე დილით დაადგა.

„შენზე ბევრ რამეს ჰყვებიან და ნახევარზე მეტი ტყუილი მგონია. შენგან მინდა სიმართლე და არ დაიწყო ახლა, ზესტაფონელი ალ კაპონე ვარო, არ დაგიჯერებ მაინც“, — მისალმების შემდეგ უთხრა №0578-მა.

„ჩემზე ერთადერთს, რასაც იტყუებიან, სულელად რომ მთვლიან, ეგ არის, თორემ დანარჩენი სიმართლეა. მართლა მაგარი ვარ მე“, — გაიღიმა შალვოვიჩმა.

„ჰოდა, მოყევი აბა, როგორი მაგარი ხარ“, — შეაგულიანა პატიმარმა.

„შოუები ზესტაფონელების ნაკლებობას რომ არ განიცდიან, ქე ატყობ შენც. მე იქ დავიბადე, გავიზარდე და ახლა ვყლაპავ რუსთავ-ცემენტით გაჯერებულ ჰაერს, თორემ მთელი ცხოვრება ფეროს ვსუნთქავდი. მეზობელი მყავდა ერთი, დედით ებრაელი და იმხელა სახლი ზესტაფონში მგონი არავის აქვს. წავიდა ის ებრაელი ისრაელში, დავბრუნდები 2-3 წელიწადშიო და როგორც წესიერ კაცს, სახლი მე დამიტოვა საპატრონოდ“...

„ანუ მგელს რომ ცხვრის ფარა ჩააბარო, ეგ თემა იყო, არა?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„არა, ჩემზე პატიოსანი კაცი ზესტაფონში არ დადიოდა. სახლსაც პატიოსნად ვპატრონობდი, ცოლი ალაგებდა, მე ყოველდღიურად ვანიავებდი. ზამთარში მიჭირდა ცოტა განიავება. ერთი დედაკაცი მყავდა გვერდზე სოფლიდან, თქვენ რომ ნაშას ეძახით და ჩემი თაობის ხალხი კიდევ საყვარელს. წვევყვანდი ამ ქალს კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ იმ ებრაელის სახლში, გოდოუტყავებდი ზურგს და ვიყავი ბედნიერი. ჰო, წასვლისას იმ ებრაელმა დამიბარა, თუ ყველაფერი რიგზე დამხვდება, მადონას სერვისს გაჩუქებო. შენ იცი, რა არის მადონას სერვიზი? არ გეცოდინება და იმ ებრაელს კიდევ ორი სახლი ჰქონდა. გაჭირდა ცხოვრება, მეც გამიჭირდა და ვიფიქრე, მაინც უნდა მაჩუქოს ეს სერვისი-თქო, გავიტანე და გავყიდე. კი მეყო ცოტა ხანს ის ფული, მაგრამ აქეთ ოჯახი, იქეთ ის ჩემი საყვარელი და მეორე სერვისიც გავყიდე“...

„და იმ საყვარელს, ზურგს რომ უტყავებდი თურმე, ფულს უხდიდი გადატყავებული ზურგის სამკურნალოდ თუ როგორ იყო?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„აზრზე არ ხარ შენ ცხოვრების. პატიოსან ქალს სახლში რომ მიიყვან, ერთხელ, მეორედ და მეათედ, მერე კი უნდა ინებო და სამლარიანი „ჩულქები“ მაინც უყიდო, მაგრამ შენ რა გესმის?!“

„და სამლარიანი „ჩულქებისთვის“ გაყიდე, კაცო, მადონას სერვიზი?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„ეჰ, აქეთ ბავშვები, ცოლი, სახლი, კარი და გავყიდე, რა. მერე, ისევ რომ გამიჭირდა, მეორე სერვიზი გავყიდე, ვიფიქრე, ან მაპატიებს ის ებრაელი, ან სანამ ჩამოვა, ფულს ვიშოვი, იგივეს ვუყიდი და ვერაფერს მიხვდება-თქო, მაგრამ რად გინდა, უკან და უკან წავიდა ცხოვრება, ვერცხლის ვაზებს მივადექი, მერე დანა-ჩანგალს და ჭურჭელი რომ ამოვწურე, ავეჯზე გადავედი.

ბევრი ვიფიქრე, რა გამეყიდა, ძალიან ბევრი და ბოლოს როიალი შევარჩიე. რაღაცნაირი როიალი იყო, რომ შეხედავდი, დაკვრა რომ არ შეგძლებოდა, მაინც დაუკრავდი. იმ ჩემმა საყვარელმა მითხრა ერთ დღეს, ჩემი ნაცნობია ის გოგო, ტელევიზორში რომ ჩანს ხშირადო და როიალს ეძებს, ხომ არ იცი, ვინმეს ჰქონდეს გასაყიდადო. რაღა ვინმეს, მე მაქვს, ის ებრაელი აღარ ჩამოვა საქართველოში, ნივთებს ვყიდი და ფულს ვუგზავნი-მეთქი. მოიყვანა მეორე დღეს ის გოგო, იმან კიდევ როიალს რომ შეხედა, გაფითრდა. ორ დღეში მოვალო, დამიბარა და წავიდა. ორი დღის შემდეგ ვიღაც კაცი მოიყვანა, იმან როიალს უტრიალა, ეს გოგო იძახის, ხელოსანია, გაფუჭებული არ მინდა იყოსო. რა ხელოსანი, ახლა ვხვდები, შეაფასებინა ვიღაცას, თორემ კლავიშზე თითი არ დაუდია იმას. ბოლოს იჩურჩულეს რაღაც და მკითხეს, რას აფასებო. ათას დოლარს ვფიქრობდი, მაგრამ ხუთასი რომ მოეცათ, მადლობას ვეტყოდი. ჭოჭმანი რომ შემატყვეს, თავად მითხრეს, ათას ხუთასი დოლარი გაწყობსო?! მაშინ მივხვდი, არ იყო იაფი ნივთი და ორი ათასს ფეხს არ მოვუცვლი-მეთქი. გადამიხადეს და წავიდნენ მშვიდად, წაიღეს ჩემი როიალიც და...“

„მოიცა კაცო, შენი თუ იმ ებრაელის როიალი?!“ — გააწყვეტინა №0578-მა.

„რავა პროკურორივით მელაპარაკები, დაკითხვის დროს მაგანაც ეგ მითხრა. ჰო, კარგი, წაიღეს იმ ებრაელის როიალი და ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთ წელიწადში იმ სახლში მარტო ფარდები ეკიდა და ერთი ლოგინი ეგდო. ის ლოგინიც სახლიდან ავათრიე ჩემი ქალისთვის, თორემ იქაური სულ გავყიდე. მივხვდი, რომ ბოლომდე შევტოპე, მაგრამ იმ ებრაელზე ამბობდნენ, დიდი ფული იშოვა და აღარ ჩამოვაო და ამიტომ გავთამამდი.

ერთ დღეს დამირეკა იმ ჩემი ცოდვით სავსემ ისრაელიდან, სახლი გაყიდე, ფული გამომიგზავნე და სახლიდან მხოლოდ როიალი მინდა, დანარჩენი შენი იყოსო. სიხარულით გადავირიე, სახლიდან ჩოუტეხავ იმ ორი ათას დოლარს, გამოვისყიდი იმ როიალს და შემრჩა ყველაფერი-თქო, მაგრამ ბედი არ გინდა?! მივედი იმ გოგოსთან და გადაირია, რა ორი ათასი დოლარი, ეს როიალი 50 ათასზე ნაკლებად არ მიღირსო. რაღაც სახელი მითხრა, ამ ფირმის არისო. ახლა მე გადავირიე, ამდენი თუ ღირდა, მარტო ორი რატომ გადამიხადეთ-მეთქი და რამდენადაც გაყიდე, იმდენი მოგეციო. ვეღარ მოვითმინე და ავტეხე მთელი ამბავი, იმან კიდევ პატრული გამოიძახა. პატრული მიყვა ამ ამბავს ბოლომდე, ის ებრაელიც ჩამოიყვანეს და იმ მამაცხონებულმა, როიალი დამიბრუნოს და გაუშვითო. ვინ გამიშვებდა? ან იმ როიალის ფული სად მქონდა და კი მომცეს აგერ კოკროჭინასავით სროკი. ახლა იმ სოფლელ დედაკაცს ვინ ჩივის, ჩემსას არ უტყავებდეს ვინმე ზურგს, ეგ მაქვს საფიქრალად“, — დაასრულა მოყოლა შალვოვიჩმა.

„არ გეწყინოს, მაგრამ მართლა სულელი ხარ“, — გაუღიმა №0578-მა.

„რატომ, კაცო? ებრაელი მოვატყუე და კიდევ მე ვარ სულელი?!“ — გაუკვირდა შალვოვიჩს.

„ტყუილი არ არის ეგ ძამია, უნამუსობა უფრო ჰქვია ან სიბრიყვე. ვიღაც დედაკაცის „ჩულქების“ გამო 50 ათასიან როიალს ორი ათასად რომ გაყიდი, კი გჭირს იმერელ კაცს კახური დაავადება“, — მხარზე ხელი დაარტყა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

ვერსიანიუსი

შს სამინისტრომ 478 აბი ე.წ. ექსტაზი, ამფეტამინი და მეტამფეტამინი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული ირაკლი კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 478 აბი ე.წ. ექსტაზი (მდმა), 3,5879 გრ ამფეტამინი და 0,0097 გრ მეტამფეტამინი ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით ირაკლი კ-ს მარიხუანის და ამფეტამინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 126 საბრძოლო ვაზნა ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1955 წელს დაბადებული ნოდარ ი. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით მესტიის რაიონის სოფელ ლატალში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას „აკაეს-ის“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 4 მჭიდი და 126 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები სროლისთვის ვარგისია. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული მალხაზ ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, 2015 წლის 1 ივნისს, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მის დროებით მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხში, შურისძიების მიზნით ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1970 წელს დაბადებულ გიორგი ბ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულმა, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტოფარეხშივე დამარხა.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული 9 ივნისს თბილისში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ნივთმტკიცებად ამოღებულია. სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს სხვადასხვა დასახელების იარაღი და საბრძოლო მასალა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლის იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე და 236-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

მხიარული შეფმზარეული ჭეკილას სამშობლოდან

რატომ მოსწონს საქართველოში ცხოვრება, რას ფიქრობს ქართველებზე და რას ურჩევს ახალბედებს მექსიკელი კულინარი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

პედრო ლეივა გონსალესი მექსიკიდანაა, მეუღლე და ორი გოგონა ჰყავს. ისინი საქართველოში არ ცხოვრობენ, მაგრამ არდადეგებზე სტუმრობენ ხოლმე ჩვენს ქვეყანას. პედრო ლეივა, როგორც ზოგადად სამხრეთამერიკელები, საოცრად მხიარული ადამიანია. „ქორთიარდისა“ და „თბილისი მარიოტის“ სასტუმროების ნომერპირველი მზარეული, დიდი ალბათობით, საქართველოში ერთადერთი მექსიკელი კულინარია. ახალგაზრდა უცხოელს თბილისი უკვე ძალიან უყვარს. ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს და მექსიკელებსა და ქართველებს შორის ბევრ საერთოსაც ხედავს.

— ბატონო პედრო, საქართველოში ჩამოსვლა როდის ან რატომ გადაწყვიტეთ?

— ამ რეგიონში პირველად რუსეთში აღმოვჩნდი — სანკტ-პეტერბურგში მექსიკური რესტორანი გაიხსნა. იქ საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე. 5 წლის წინ კი თბილისში ჩამოვედი, სადაც ასევე იხსნებოდა მექსიკური რესტორანი „აცტეკა“. ძალიან მომწონდა რესტორნებში შეფმზარეულობა, მაგრამ ცვლილებები მიყვარს და სასტუმროში მუშაობამ დამაინტერესა. სასტუმრო გაცილებით მასშტაბურია. აქ უნდა აკონტროლო როგორც რესტორანი, ისე შენობაში შემავალი სხვა დანაყოფები. საქმეც უფრო მეტი და მრავალფეროვანი გაქვს და რაც მთავარია, სასტუმრო რესტორანზე ბევრად სტაბილურია. ყოველთვის მინდოდა, საერთაშორისო ქსელში მემუშავა, ამიტომ, როცა „თბილისი მარიოტში“ შეფმზარეულის ვაკანსია გამოცხადდა, დოკუმენტები დაუფიქრებლად გადმოვგზავნე. მერე გასაუბრება გავიარე და მუშაობა დავიწყე. თავიდან, მხოლოდ რესტორნის მთავარი მზარეული ვიყავი. ორი წლის მერე ორივე სასტუმროს აღმასრულებელი შეფი გავხდი.

— „მარიოტის“ საერთაშორისო მენიუში რამდენადაა წარმოდგენილი თქვენი მშობლიური სამზარეულო?

— დიახ, „მარიოტი“ ზოგადად საერთაშორისო სტილია, მაგრამ სხვადასხვა ელემენტები ყველა სამზარეულოდანაა, ევროპული სჭარბობს. სტუმრებს, მექსიკურ კერძებსაც ვთავაზობ ხოლმე, მაგრამ ყოველდღიური მენიუთი მაინც სტანდარტს მივყვებით.

— საქართველომ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?

— ძალიან საინტერესო ქვეყანაა. ყველაზე მეტად იმიტომ მომწონს, რომ აქ ცხოვრება უსაფრთხოა. თბილისი ძალიან მაგონებს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ტემპერატურაც, ხალხიც მსგავსია. ქართველებიც ძალიან უშუალოები, გულღიები არიან. ასე რომ, აქაურობასა და აქაურებთან შეჩვევა არც გამჭირვებია. ჩემ ყველა მეზობელს ვიცნობ. ყოველდღე, ყველას ვესალმები, მოვიკითხავ, ზოგჯერ მათთან ჩაისაც ვსვამ. ერთნაირი ყოფითი კულტურის მატარებელი ხალხი ვართ. საქართველოში ძალიან ბევრი საინტერესო დასასვენებელი, სანახაობრივი თუ ისტორიული ადგილია. მომეწონა ვარძია, ბათუმი... მე და ჩემს ოჯახს ძალიან მოგვეწონა ბორჯომში დასვენება. ახლა აქ არიან, ამიტომ... მოვიკიდებთ ზურგჩანთებს, კარვებს წავიღებთ და ტურისტებივით ვიბოდიალებთ სხვადასხვა ადგილებში, ამჯერად გეზი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკისკენ გვაქვს აღებული.

— ქართულ ხელოვნებას იცნობთ?

— ძალიან ცოტა თავისუფალი დრო მაქვს. მომწონს თქვენი მხატვრობა, მუსიკა და ცეკვა.

— სამზარეულო? ქართულმა კერძებმა არ მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?

— ქართული სამზარეულოც საკმაოდ ახლოსაა მექსიკურთან. ჩვენი კერძების მთავარი ინგრედიენტები, თქვენის მსგავსად, სიმინდი და ლობიოა. მწვანილებიდან — ქინძი. ვგავართ იმითაც, რომ ორივე ხალხს გვიყვარს ცხარე, პიკანტური კერძები. თუმცა, ბევრი სანელებელი გვაქვს მექსიკაში და ჩვენი კერძები უფრო არომატულია, ვიდრე მძაფრი. უცხოელების უმეტესობას ჰგონია, რომ მექსიკური სამზარეულო მეტისმეტად ცხარეა, არადა ასე სულაც არაა.

— რამდენად შეიცვალა მექსიკური კერძები მიგრაციისა და გლობალიზაციის გამო?

— ესპანეთის დიდ გავლენას განვიცდით. ამ მხრივ, ალბათ, ქართველებისგან განსხვავებით, არც ისე ტრადიციონალისტები ვართ. გვიყვარს სიახლეები და ამიტომ ღია ვართ საერთაშორისო სამზარეულოს მიმართაც. მექსიკელს ექსპერიმენტები ხიბლავს. შეიძლება ერთი და იგივე კერძი სხვადასხვაგვარად მოამზადოს. ჩემი პროფესიისთვის, ეს კარგი და მომგებიანია — სულ სიახლის ძიებაში უნდა იყო. ტრადიციები ძალიან კარგია, მაგრამ დროსაც უნდა აუწყო ფეხი. ახალგაზრდა ქართველ მზარეულებს, რომლებიც მაგალითად „მარიოტში“ მუშაობენ, მიდგომა ეცვლებათ — ქართულ სტილში ამზადებენ, მაგრამ მცირედი ცვლილებები მაინც შეაქვთ. დამწყებ კულინარებს ვურჩევდი: დაიწყეთ ექსპერიმენტები! არ არის საჭირო ინგრედიენტების შეცვლა. უბრალოდ, განსხვავებული ფორმა მიეცით, ცოტათი გაახალისეთ ტრადიციული და ესოდენ მოწონებული გემრიელი კერძები. ევოლუცია აუცილებელია! ეს სერვირებასაც ეხება, ამიტომ აუცილებელია, საზღვარგარეთ მიიღონ განათლება. ყველა შემთხვევაში, ტრადიცია უცვლელი რჩება, მაგრამ ახალი დეტალი ემატება. ეს ტრადიციებს ხელს არ შეუშლის და არც ზოგადად, ტრადიციულობაა ცუდი. ბევრი ქართველი მეგობარი მყავს და მათთან ამ კუთხითაც ბევრ საერთოს ვხედავ — ჩვენც გვიყვარს მხოლოდ მექსიკური მუსიკა, უდიდეს პატივს ვცემთ ნაციონალურ დღესასწაულებს, ვართ რელიგიურები.

— ქართული კერძებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?

— ხინკალი. ო, მართლაც როგორ მიყვარს! ტრადიციასავით დავამკვიდრე, რომ კვირაში ერთხელ უნდა მივირთვა! ასევე, ძალიან მიყვარს ბაჟე, კუჭმაჭი, მჭადი, ჭვიშტარი... მჭადის მსგავსი კერძი ჩვენც გვაქვს, რადგან, როგორც ვთქვი, სიმინდი ჩვენი სამზარეულოს საფუძველია. ღვინოებიდან, „საფერავს“ გამოვარჩევ.

— მექსიკაში დღეს ყველაზე პოპულარული რომელი კერძებია?

— მექსიკური „ბურიტო“, „ენჩილადას“, „ჩილი“, „სევიჩე“... მერე კი, ალბათ აზიური სამზარეულო.

— რამდენად იძლევა ეროვნული კერძი ინფორმაციას ერის ხასიათზე?

— საინტერესო კითხვაა... უნდა დავფიქრდე... ქართველებს გიყვართ ყველაფრის დიდ ულუფებად მომზადება. ეს იმიტომაც ხდება, რომ ხშირად ბევრნი ცხოვრობთ ერთ ოჯახში. ერთი ადამიანისთვის თითქმის არასოდეს არაფერი მზადდება. ეს არის თქვენი ხასიათი. ალბათ, ეს მეტყველებს თქვენს ხელგაშლილობაზე, სტუმართმოყვარეობაზეც.

— მიგაჩნიათ, რომ კულინარია ხელოვნებაა?

— მზარეულობა პროფესიაა, მაგრამ არტისტული პროფესია. აუცილებელია, გქონდეს სილამაზის შეგრძნება და რა თქმა უნდა, იმპროვიზაციის უნარი.

„საკურორტო სეზონი ჩავარდება! ვინმემ როდესმე ხომ უნდა მიხედოს აქაურობას!“

გადათხრიდი გზები, „ბიჩოკებითა“ და პამპერსებით სავსე პლაჟი და ზღვა — როგორ ხვდება ურეკი საზაფხულო სეზონს

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

შარშან ზაფხულში ურეკში დაწყებული წყლის რეაბილიტაცია დღესაც დაუსრულებელია. ადგილობრივებს, მტვრისა და ატალახებული ქუჩის გარდა, ისიც აწუხებთ, რომ მოუწესრიგებელი გზის გამო საკურორტო სეზონზე დამსვენებელი ბინას აღარ ქირაობს: **„წყლის კომპანიის წარმომადგენლებს და ხელისუფლებას რაჭველებივით დაემართათ — წისქვილი რომ ააშენეს და წყალი არ ჰქონდათ. ურეკში მილები გაიყვანეს და წყალი საიდან შემოიყვანონ, არ იციან. ის, რაც ურეკში ხდება, უვიცობისა და უპასუხისმგებლობის ზეიმია. როგორ შეიძლება, ძვირადღირებული მილები ჩაყარო მიწაში და წყალი საიდან გამოიყვანო, არ იცოდე“,** — აცხადებენ ადგილობრივები.

იმავე პრობლემებზე საუბრობენ სასტუმროს მეპატრონეები. მათი თქმით, წელს შესაძლოა ურეკში საკურორტო სეზონი ჩავარდეს. ერთ-ერთ პრობლემად კი ბუნებრივი აირის არარსებობას ასახელებენ: **„ანალოგიური ვითარებაა გაზთან დაკავშირებით. გადათხარეს საკურორტო ზონა და როგორც ვიცით, გაზი წელსაც არ იქნება. აბა, რისთვის თხრიან ამ გზას?! რა ჰქვია ამ საქციელს? ესაა საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა!“.**

ადგილობრივები ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობაზეც საუბრობენ. მათი თქმით, ტურისტებს შექმნილი ვითარება სასაცილოდ მიაჩნია და დასასვენებლად აჭარაში მიდიან. **„ქუჩებს როცა თხრიდნენ, დამსვენებლები მოდიოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. პლაჟის დასუფთავება დაიწყეს, თუმცა სათანადო შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ — ისევ ანტისანიტარია და სიბინძურეა. გაშვებულია საქონელი, მთელი საკურორტო ზონა ნეხვითაა სავსე. აქ რომელი უცხოელი ჩამოვა?! ტუროპერატორებმაც კი ჩვენთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. იტალიელები იყვნენ ჩამოსულები, იცინეს ურეკში არსებულ მდგომარეობაზე და ბათუმში წავიდნენ. ამით სარგებლობს სხვა რეგიონი, ჩვენ კი ვზარალდებით“,** — აცხადებს ურეკში ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონე.

იდა ალასკირი, აზერბაიჯანიდან ურეკში შვილთან ერთად ათი დღეის წინ ჩამოვიდა და თვის ბოლომდე აპირებს დარჩენას. იდამ ერთი ამბავი გაგვანდო და გვთხოვა, იქნებ ვინმემ მიაქციოს ყურადღებაო: **„ვისვენებთ როგორც შეგვიძლია. მაგნიტური ქვიშის გამო ბავშვს ყოველ დილით ვასეირნებ პლაჟზე. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. თუმცა სანაპირო და ზღვა იმდენად ბინძურია, ზოგჯერ გვეშინია, რამე არ შეგვეყაროს“.**

„ვერსია“ სხვა დამსვენებლებსაც გაესაუბრა. ისინიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ არსებული ანტისანიტარიის გამო. სიგარეტის „ბიჩოკები“, პამპერსები და ცელოფნის პარკები ისე „ლივლივებს“ ზღვის ზედაპირზე, რომ „ბრასით“ ცურვა კი არა, წყალში დგომაც გაგიჭირდებათ. აღარაფერს ვამბობთ სანაპიროზე, სადაც ტანზე ისე „უცაბედად“ შემოგეკვრება სიმინდის ტაროები და ერთჯერადი ცელოფნები, რომ საცურაო კოსტუმის ჩაცმასაც გადაიფიქრებ.

„ზღვა იმდენად ბინძურია, ზოგჯერ ჩასვლას ვეღარ ვახერხებთ. ადრე წმენდდნენ, ახლა აღარავის ახსოვს. შე კაი ადამიანო, იქვე რომ არ დაყარო ყველაფერი, რასაც შეჭამ, ხომ შეიძლება? გავლა გაგიჭირდება კაცს, აქ ისეთი ამბავია. „ბიჩოკები“ ფეხებზე გეწებება “, — ამბობს **ლამარა კერვალიშვილი.**

„ტურისტული სეზონი ივლისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. ყველზე აქტიური თვე აგვისტოა. სეზონი კი სექტემბრის ბოლოს დამთავრდება. სასტუმროს ნომრის ფასი ერთ ადამიანზე დღეში 25-50 ლარია. ფასში არ შედის საუზმე, თუმცა მოქმედებს კვების ბლოკი და ბარი, სადაც მზარეულები იღებენ შეკვეთებს. ურეკში დასვენების ფასი შენარჩუნებულია. შარშან ჩვენთან სასტუმროში ორადგილიანი ნომერი 50 ლარი ღირდა, წელსაც ასეა. თანხაში ერთჯერადი კვება შედის. ფასები ზოგადად სასტუმროს მდებარეობის, პირობებისა და სეზონის მიხედვით განისაზღვრება. ახლა ერთ ადამიანს, დაქირავება თუ 25 ლარი უჯდება, ეს თანხა 15 ივლისიდან 25 აგვისტომდე შედარებით მოიმატებს, მაგრამ იმდენად მოუწესრიგებელია გარემო, წელს ვინ ჩამოვა, არ ვიცი. ოდესმე ხომ უნდა მიხედოს ამ უნიკალურ კურორტს ვინმემ? საზაფხულო სეზონი, ფაქტობრივად, კარს მოგვადგა და ახლა დაიწყეს ქუჩების გადათხრა“, — ცხარობს სასტუმრო „ევკალიპტის“ დირექტორი.

რა(დ) ღირს ცხოვრება საქართველოში?

ბაჩო ტურაშვილი

„ცხოვრება გაძვირდა“, — ამ ფრაზას საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ხშირად მოისმენთ. როგორ „დაარტყა“ მოქალაქეების ჯიბეს ლარის დევალვაციამ, რამდენად გაუჭირდა ხალხს ცხოვრება, რა გამოსავალს ხედავენ ადამიანები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უღირთ თუ არა საქართველოში ცხოვრება და თუ უღირთ — რის ფასად, რატომ მიდიან ახალგაზრდა დედები საზღვარგარეთ, რატომ შიათ პენსიონერებს, რატომ არადა არ გადაიჭრა დასაქმების პრობლემა, რად უჯდებათ მშობლებს შვილების რჩენა და ზოგადად, რა(დ) ღირს საქართველოში ცხოვრება? თანამედროვე საქართველოს მოქალაქეების ავბედით ყოფაზე, „ვერსიას“ საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და სტატუსის წარმომადგენლები უამბობენ:

68 წლის **თინა ილაშვილი** გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახიდანაა, რუსთაველის გამზირზე გარევაჭრობით ირჩენს თავს და აღნიშნავს, რომ ყოველთვიურად, მისი შემოსავალი 150-ლარიანი პენსიაა, გარევაჭრობიდან შემოსული თანხა კი მის ოჯახს პროდუქტის საყიდლადაც არ ჰყოფნის: **„20 წელია ქმარი გარდამეცვალა. მას შემდეგ ოჯახის რჩენა მე მიწევს. ამ ოცი წლის განმავლობაში საქართველოში ფინანსური თუ პოლიტიკური მდგომარეობა იცვლებოდა, თუმცა ჩემს ოჯახს სულ უჭირდა და დღესაც უჭირს. ლუკმა პურის ფულის საშოვნელად აქ მიწევს ვაჭრობა. ვერ ვიტყვი, რომ შემოსავლიანი საქმეა, მაგრამ თბილისში ქირის გადასახადს და ელემენტარულ რაღაცებს მიკმაყოფილებს. მთავარი საზრუნავი საკვების შოვნაა. მხოლოდ იმ პროდუქტის შეძენას ვახერხებთ, რაც აუცილებელია — პური, შაქარი, ზეთი და კარტოფილი“.**

18 წლის **დათო ხოხობაშვილი** ილიაუნის ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის პირველკურსელია და ფინანსურად მთლიანად მარტოხელა დედაზეა დამოკიდებული. დედა უფინანსებს სწავლაც და ყოველდღიურ ხარჯსაც ის სწევს. დათოს ყველაზე მეტად სურს, იმუშაოს, თანაც საკუთარი პროფესიით: **„ჩემი ხარჯები მთლიანად დედაზეა დამოკიდებული, ის მიხდის სწავლის ფულსაც და დანარჩენ ყოველდღიურ ხარჯსაც მინაზღაურებს. არ მინდა ასე იყოს, მაგრამ ჯერ პირველკურსელი ვარ და მეტი გამოცდილება მჭირდება, რათა სამსახური დავიწყო. მით უმეტეს, ისეთი სამსახური მჭირდება, ლექციებზე დასწრებაზე პრობლემა არ შემექმნას. ცუდია, რომ საქართველოში სტუდენტებისთვის სპეციალური სამუშაოები არ არსებობს. არ მომწონს დღევანდელი მდგომარეობა, სრული ქაოსია როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ ძვირად თუ იაფად, კარგად თუ ავად, საქართველოში ცხოვრება მაინც ღირს“.**

თინა გოდერძიშვილი 30 წლის მარტოხელა დედაა. ბოლო 2 წელი და 4 თვე იტალიაში გაატარა იმისთვის, რომ საქართველოში ერთადერთი, წლისა და თერთმეტი თვის გოგონა ერჩინა. ამბობს, რომ არჩევანის გაკეთება ძალიან გაუჭირდა, რადგან არ სურდა მცირეწლოვანი შვილის დატოვება. გაუსაძლისმა სოციალურმა მდგომარეობამ მაინც აიძულა წასულიყო. აღნიშნავს, რომ ხშირად ბავშვის საფენების ფულიც არ ჰქონდა. კიდევ კარგი, მშობლები ეხმარებოდნენ. დღეს კი, ავად თუ კარგად, თავად ეხმარება ოჯახს. ქალბატონი თინა მოხუცის მოვლაში გასამრჯელოდ თვეში 700 ევროს იღებს: **„აქ ცხოვრება ჩემთვის აუტანელია, სულ ვფიქრობ, რომ ჩემ შვილს დედის სითბო აკლია. რატომ და რისთვის წავედი საქართველოდან?! რის საფასურად ვარ აქ?! შვილის აღზრდაში ვერ ვმონაწილეობ, ვერ ვეფერები და აქ დამცირებას ვიტან — დღე არ გავა, ეს კითხვები არ დავუსვა საკუთარ თავს, ამაზე ფიქრი მანადგურებს, მაგრამ პასუხიც არ იგვიანებს — აქ ჩემი შვილის მომავლის შესაქმნელად ვარ! არ მინდა, მანაც ის გაჭირვება გამოიაროს, რაც მე გამოვიარე! დღესაც ცრემლით მახსენდება და არასოდეს დამავიწყდება ის დღე, იტალიაში რომ მოვდიოდი. იცით, როგორი თვალებით გამომაცილა შვილმა? გაკვირვებული მიყურებდა. ცრემლები მახრჩობდა, სიმწრისგან ყელში რაღაც ძალამ მომიჭირა და ვერც ვიტირე. საქართველოში ღირს ცხოვრება, რადგან შენს ოჯახთან ხარ, არ გიწევს მონობა, მაგრამ ასეთია ჩვენი ცხოვრება... ჩემები როგორც მეუბნებიან, საქართველოში ცხოვრება დღეს უფრო გაძვირებულია. როცა შენს ქვეყანას სასიცოცხლო არანაირი ნიშანწყალი არ ეტყობა, იძულებული ხარ, წახვიდე უცხო ქვეყანაში და ოჯახი არჩინო. იმედია, მალე დავბრუნდები საქართველოში და მალე ჩავიკრავ ჩემს საყვარელ შვილს გულში“.**

მარიამი 23 წლისაა. ოჯახი რამდენიმე თვის წინ შექმნა. 7 თვის ორსულია. ახალდაქორწინებულებს სტაბილური შემოსავალი არ აქვთ. ამბობს, მშობლები რომ არ გვეხმარებოდნენ, ალბათ მხოლოდ საკვების შეძენას შევძლებდითო. მარიამის ოჯახი სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული, მაგრამ ფინანსურ მხარეს მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს: **„კარგია, როცა წყვილი რეალიზებული, ფინანსურად გამართულია და შემდეგ ქმნის ოჯახს, მაგრამ ჩვენს რეალობაში ასე იშვიათად ხდება. ამას, დიდწილად, ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს. ახალგაზრდები ვერ ახერხებენ სტაბილური სამსახურის მოძიებას. ადამიანური რესურსი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში არ არის. ახალგაზრდები ვართ და ვაკეთებთ საქმეს, რომელიც გვსიამოვნებს და ჩვენი ინტერესის სფეროა. შემოსავალი რამდენად არის ჩვენი შრომის ადეკვატური, ეს სხვა საკითხია. ოჯახის მესამე წევრს ველოდებით. რამდენად მზად ვართ, ბავშვს ყველა პირობა შევუქმნათ? — სამწუხაროდ, ისევ ჩვენს მშობლებზე ვიქნებით დამოკიდებულნი და პარალელურად, შედარებით მაღალანაზღაურებადი სამსახურის ძებნას გავაგრძელებთ. კარგი იქნებოდა, ის ახალგაზრდები, რომლებიც ნაადრევად ქორწინდებიან, ამ რისკებს აცნობიერებდნენ. როცა ასე ძვირია სამედიცინო მომსახურება, ყოველდღიური ხარჯი, კომუნალური გადასახადი, ბავშვისთვის საჭირო ნივთები, პროდუქტი, ტანსაცმელზე ხომ საერთოდ აღარ მაქვს ლაპარაკი, ფინანსური დამოუკიდებლობა ახალგაზრდა წყვილმა მოიპოვოს, ძალიან რთულია“.**

ინდოეთში გეებს რადიკალური მეთოდებით ებრძვიან

ინდოეთში არსებობს რამდენიმე რადიკალური მეთოდი არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებთან საბრძოლველად. გეი-მამაკაცებს აიძულებენ, სექსუალური კავშირი დაამყარონ საკუთარ დედასთან, ლესბოსელებზე კი მათივე დეიდაშვილ-ბიძაშვილი ბიჭები ძალადობენ. ასეთ პრაქტიკას „კორექციულ გაუპატიურებას“ უწოდებენ და ამ მეთოდით ზოგჯერ ის ოჯახები სარგებლობენ, სადაც „არასწორი“ შვილების გამოსასწორებლად სხვა გზა აღარ დარჩენიათ. ძნელი წარმოსადგენია, ასეთმა არაჯანსაღმა მეთოდმა „განკურნოს“ ვინმე. ლგბტ-საზოგადოების წარმომადგენლებმა იციან ამის შესახებ და აცხადებენ, რომ მსგავსი შემთხვევები ხშირად არ რეგისტრირდება, რადგან თავად ოჯახს არ სურს ამბის გახმაურება. ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ ერთსქესიანთა ქორწინება 2013 წელს აკრძალა. 2009 წელს არატრადიციული ურთიერთობები ქვეყანაში ლეგალიზებული იყო, თუმცა, საჩივრებისა და დემონსტრაციების შემდეგ, აკრძალვა ამოქმედდა. რამდენიმე თვის წინ კი ინდოეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სურს, ქვეყანაში სპეციალური ცენტრი გახსნას ლგბტ-საზოგადოების წარმომდგენლების სამკურნალოდ, რათა ისინი „ნორმალურები“ გახდნენ.

სასჯელად – ფეხით სიარული

მოსამართლე მაიკლ ჩიკონეტიმ ოჰაიოს შტატიდან 19 წლის ვიქტორია ბასკს თითქმის 50 კილომეტრის ფეხით გავლა დააკისრა იმის გამო, რომ ტაქსით მგზავრობის ფული არ გადაიხადა. სწორედ ეს მანძილი გაიარა ტაქსით, შემდეგ კი მძღოლს თანხა არ გადაუხადა. მოსამართლემ გოგონას არჩევანის უფლება მისცა — საპატიმრო ან სავალდებულო „გასეირნება“ გამოსასწორებელი მიზნით, თანაც ეს „გასეირნება“ ორ დღეში უნდა შესრულდეს. ვიქტორიამ ტაქსის მძღოლს 100 დოლარიც უნდა გადაუხადოს. ციხეში არადროს მოვხვედრილვარ და არც ახლა მსურს იქ, მიხარია, მოსამართლემ ასეთი განაჩენი რომ გამოიტანა, — ამბობს ბრალდებული. გოგონამ „სასჯელის მოხდა“ რომ დაიწყო, ჩიკონეტიმ შეიცოდა და გასავლელი მანძილი 32 კილომეტრამდე შეუმცირა, რადგან ასვალტზე კი არა, ტალახიან გრუნტზე სიარული უწევდა. ამბობენ, მოსამართლე ცნობილია თავისი ექსცენტრული გადაწყვეტილებებით — ადრე ერთ ქალს, რომელმაც 35 კნუტი ტყეში გადაყარა, იქ ღამის გათევა მიუსაჯა.

ახალი მოდა — „მუყაოს კინოთეატრი“

ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი ტრენდი გაჩნდა — თავის დამალვა ყუთებში. ასეთი საინტერესო მეთოდით შერეკილი კინომანები ფილმებს უყურებენ. სწორედ ყუთის წყალობით იქმნება კინოთეატრში ყოფნის შთაბეჭდილება. საამისოდ მუყაოს ყუთს ამოჭრიან „ფანჯარას“ პლანშეტის ან ტელეფონისთვის. გაჯეტს შიგნით ათავსებენ და ცდილობენ, მაქსიმალურად აიცილონ შუქის მოხვედრა ამ იმპროვიზებულ „კინოდარბაზში“. მაყურებელი ფილმს ზურგზე დაწოლილი უყურებს, ახალ გასართობს კი იაპონელებმა „მუყაოს კინოთეატრი“ უწოდეს და აქტიურად იწონებენ ამით თავს. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელმაც „ყუთის კინოს“ განსაკუთრებულობა გამოსცადა, მის ერთადერთ ნაკლად ის დაასახელა, რომ ამ მეთოდით კინოს ყურებისას ყუთში ტემპერატურა მატულობს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	6			8				
		9			6		3	
			1		9		4	
		7		1	8			4
3								1
5			3	2		7		
	5		6		7			
	4		2			5		
				5			7	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	4	2					9	
			6		2			8
			9			7	2	
7		4			6			9
		8		7		5		
5			1			8		4
	9	3			8			
2			4		1			
	8					2	4	

ᲠᲗᲣᲚᲘ

						4		
					7	1		6
9			4				2	
	6		8	3	9			5
	7			6			9	
4			2	7	5		8	
	2				8			3
5		4	3					
		1						

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3		2						
	8				4			
	1			8	2		6	
	9	4	2	6		3		
8			4		9			1
		1		3	7	9	5	
	2		7	1			4	
			9				7	
						5		3

ᲑᲘᲝᲡᲢᲔᲕᲐᲚᲢᲔᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲑᲡ

ამერიკელმა ინჟინრებმა არკანზასის უნივერსიტეტიდან „ჭკვიანი ბიუსტჰალტერი“ შექმნეს, რომელიც მედიკოსებს საშუალებას მისცემს, პაციენტის მდგომარეობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში აკონტროლონ. გამოგონებას, რომელიც ნანოტექსტილისა და სმარტფონის ტექნოლოგიებს აერთიანებს, გადამცემები აქვს ჩამონტაჟებული, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდება და ინფორმაციას უსადენო ქსელით, Bluetooth-ის ან უსადენო ინტერნეტის მსგავსად აგზავნის. მაღალტექნოლოგიური ბიუსტჰალტერი საშუალებას იძლევა, ექიმმა პაციენტზე დაკვირვება რეალურ დროში მუდმივად აწარმოოს. სისტემა აკონტროლებს არტერიულ წნევას, სხეულის ტემპერატურას, სუნთქვის სიხშირეს, ჟანგბადის მოხმარებას, ასევე გარკვეულ ნეირონულ აქტივობას. სისტემას ჩვეულებრივი ტომოგრაფის შეცვლაც შეუძლია, რადგან ყოველგვარი დამატებითი აქსესუარის გარეშე, როგორც ელექტროკარდიოგრაფი, გულის მდგომარეობის შესახებ ჩვენებასაც იწერს და აგზვნის. შეუძლია ექიმს აცნობოს, აქვს თუ არა პაციენტს გულის შეტევა. ამ ყველაფერს კი „ჭკვიანი ბიუსტჰალტერი“ პატარა მონეტის ზომის ოქროს ნანო-ელექტროდების მეშვეობით ახორციელებს, რომელიც ლიფის ქსოვილშია ჩაკერებული. სიახლის ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი გამოგონება სპორტსმენ მანდილოსნებსაც გამოადგებათ — მობილური ტელეფონის დახმარებით, ბიუსტჰალტერი ვარჯიშის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების მუშაობას გააკონტროლებს.

ᲑᲘᲚ ᲒᲔᲘᲗᲡᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲒᲕᲘᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ

„მაიკროსოფტის“ ყოფილმა მეთაურმა, 59 წლის ბილ გეითსმა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ცივილიზაციას ინფექციური ეპიდემიის უნდა ეშინოდეს.
მისი თქმით, ამჟამად ბირთვული ომის განვითარების შანსი მინიმალურია, ყოველ შემთხვევაში, მის სიცოცხლეში. მილიარდერი აცხდებს, რომ სპეციალურად შექმნა კვლევითი ჯგუფი, რომელმაც შესაძლო ინფექციური კატასტროფის მოდელირება მოახდინა. მათი პროგნოზების მიხედვით, უკვე პირველ 100 დღეში, არასასურველი სცენარის განვითარებისას, ვირუსს 770 ათასი ადამიანის მოკვლა შეუძლია, ხოლო 250 დღის განმავლობაში კი პლანეტის 33 მილიონი მცხოვრები მოკვდება.

„ᲘᲜᲤᲐᲠᲥᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲘ“ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲔᲡ

გერმანიის კარდიოლოგიური ცენტრის სწავლულებმა გენური ვარიაცია აღმოაჩინეს, რომელიც გულის შეტევის რისკს 15%-ით ზრდის. მათი განცხადებით, ადამიანების ნახევარზე მეტი, შესაძლოა, გენის ამ ვარიანტის მატარებელი იყოს. მკვლევარებმა 30 ათასი ადამიანის მონაცემები შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ მათგან 64% გენური მუტაციის მატარებელი იყო. მათ „წებოვანი თრომბოციტები“ აქვთ, რომელიც ინფარქტის რისკს ზრდის. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აღმოჩენა ხელს შეუწყობს პრეპარატების შექმნას, რომელიც თრომბოციტების „წებოვნებას“ შეამცირებს და ამით გულის შეტევების ალბათობაც საკმაოდ დაბალი იქნება. გერმანელი სწავლულები ამჟამად ტესტების შექმნაზე მუშაობენ, რომელსაც სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენებენ და მათ შეცვლილი გენის მატარებლების დადგენაში დაეხმარება.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	1	4	3	5	2	9	8	7
9	8	7	6	1	4	5	3	2
3	5	2	9	8	7	4	6	1
8	6	1	5	2	9	7	4	3
2	4	5	1	7	3	8	9	6
7	3	9	4	6	8	2	1	5
5	9	3	2	4	1	6	7	8
4	7	6	8	3	5	1	2	9
1	2	8	7	9	6	3	5	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	2	9	4	8	7	5	3	1
5	1	8	2	9	3	7	6	4
7	4	3	6	5	1	8	2	9
8	7	4	5	3	2	1	9	6
3	9	1	8	7	6	4	5	2
2	6	5	1	4	9	3	8	7
1	8	2	3	6	4	9	7	5
4	5	7	9	2	8	6	1	3
9	3	6	7	1	5	2	4	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	2	3	4	8	1	6	5	9
6	5	9	3	7	2	8	4	1
8	4	1	6	5	9	7	3	2
5	6	4	9	2	8	3	1	7
3	1	8	7	4	6	2	9	5
9	7	2	1	3	5	4	8	6
2	9	7	8	1	3	5	6	4
4	8	6	5	9	7	1	2	3
1	3	5	2	6	4	9	7	8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	2	4	9	3	1	8	7	6
7	3	9	8	2	6	5	4	1
8	1	6	7	5	4	3	2	9
6	4	3	2	1	5	9	8	7
2	9	5	6	8	7	1	3	4
1	8	7	4	9	3	2	6	5
4	5	1	3	7	2	6	9	8
3	7	8	5	6	9	4	1	2
9	6	2	1	4	8	7	5	3

მე-10 გვერდი: 1. მედრესე; 2. ხაო; 3. მათუსალა; 4. დავითნი; 5. ევორა; 6. ესაძე; 7. აბსენტი; 8. ბერნი; 9. ესპანიოლა; 10. ტიციანი; 11. მთავრობა; 12. აიბოლიტი; 13. ვინიპეგი; 14. ლასო; 15. ტრაპეცია; 16. უნტები; 17. დაგერი; 18. იგლუ; 19. სათვალე; 20. ია; 21. ალბინოსი; 22. ინია; 23. ინარი; 24. ჰიუნდაი; 25. ნიანგი; 26. რაველი; 27. ხაკი; 28. ურანოსი; 29. ბალუ; 30. ლუპა; 31. ხუნდი; 32. კომში; 33. ელე; 34. „ირმისა“; 35. ალიგოტე; 36. მაო; 37. ილორი; 38. ანემია; 39. ეკიუ; 40. მთიები; 41. ინა; 42. ასო; 43. დვირი; 44. ლეი; 45. ბარი; 46. ტიგელი; 47. ასა; 48. კულისიე; 49. ბაზა; 50. თარი; 51. ირიდა; 52. ალ; 53. ისარი; 54. სვია; 55. ლოტო; 56. აიაზმა; 57. „დდტ“; 58. იორი; 59. უიტნი; 60. სარი; 61. ემისარი; 62. იურისტი; 63. კანოე; 64. ხაბაზი.

მე-12 გვერდი: 1. კვირტი; 2. ვასაბი; 3. რომულუსი; 4. ალასკა; 5. ლოველასი; 6. სარიდანი; 7. აბულია; 8. უტევანი; 9. ალმასი; 10. კვარცი; 11. ეტიკეტი; 12. ამორტიზაცია; 13. პინა; 14. ადელი; 15. მისია; 16. არალი; 17. ატამი; 18. ესე; 19. კუტი; 20. ონისე; 21. ოვიედო; 22. არსენალის მთა ღამით; 23. ალია; 24. დვორჟაკი; 25. რივზი; 26. რევიუ; 27. ლესიჭინე; 28. ქორჭილა; 29. კეტი; 30. კრიკი; 31. ლუდმანია; 32. სრა; 33. რეი; 34. ბონდი; 35. ელენე; 36. სოს; 37. უსენი; 38. ჩაი; 39. ბისტრო; 40. ავი; 41. ემბაზი; 42. დუჩე; 43. ახუნდი; 44. ჩებურეკი; 45. ნაჭუჭი; 46. აპისი; 47. დიახ; 48. ტარა; 49. მური; 50. დოჰა; 51. ჰიგია; 52. პიერ; 53. მაგი; 54. ენა; 55. ლენდლი; 56. მიაუ; 57. კაროჟნა; 58. სილოსი; 59. ზუა; 60. ოსტანი; 61. ასი; 62. სარმა; 63. მნე; 64. ნოა; 65. ჭაღი; 66. ავია; 67. დიკა; 68. სინი; 69. ნადიმი; 70. სია; 71. უთო; 72. ონი; 73. მეჭვავია; 74. აბო; 75. თეო; 76. ლადა; 77. ომი; 78. თეტა; 79. ნიკე; 80. სი; 81. აბიო; 82. სიმენონი; 83. ემა; 84. ისლი; 85. იო; 86. შოუ; 87. კუ.

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაზოგეთ წელიწადში 300 ლარი

ბინა – 60 ლარი

აგარაკი – 100 ლარი

ბინას + აგარაკი = 135 ლარი

დაცვის პოლიციის მიერ დაცული სააგარაკე ზონებია:

წყნეთში, ბეთანიაში, კოჯორში, საგურამოში, შინდისში, ბაბანეულაში, ოქროყანაში, წავკისში, ბორჯომში, ბაკურიანში, კვარიათში, ურეკში, გონიოში, სარფში, ნაგანეტარში, მისაქციელში, ჟოპორტში, გულაჩაურში, არაგვისპირსა და წითელსოფელში.

www.125.ge SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

იცხოვრეთ მშვიდად

დაიცავით თქვენი ქონება თანამედროვე დაცვითი სისტემებით

დაცვის პოლიცია თავის საქმიანობას მაღალი კლასის სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს. დედაქალაქსა და რეგიონებში მოქალაქეთა უსაფრთხოებას ოპერატიული რეაგირების ნი ეკიპაჟი ემსახურება.

ლაიჯესტი

პატარძალი ქორწილში კუბოთი მივიდა

58 წლის ბრიტანელმა ქალბატონმა, ჯენიფერ ბაკლერმა, რომელიც უელსში ცხოვრობს, საკუთარი სტუმრების გათამაშება გადაწყვიტა — ლიმუზინის ნაცვლად სასახლე შეუკვეთა, რომლითაც „მიიტანეს“ ქორწინების ცერემონიაზე. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ხუმარა პატარძალი დარწმუნებულია, რომ მისი ჩანაფიქრი წარმატებული იყო, რადგან ამ ანცობის შესახებ მხოლოდ მომავალი მეუღლე იყო გაფრთხილებული. ბუნებრივია, სტუმრები შოკირებულნი დარჩნენ, როცა დაინახეს, ბაიკერებმა როგორ მოიტანეს ცერემონიაზე კუბო. აღმოჩნდა, რომ მოტოციკლს თავად სიძე მართავდა. ხუმარა პატარძალი კი სასახლიდან, რასაკვირველია, თეთრ კაბაში გამოწყობილი ამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ჯენიფერ ბაკლერი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა დამკრძალავ ბიუროში ბალზამირების ოსტატად და იუმორის „სპეციფიკური“ გრძნობით გამოირჩეოდა.

ტურისტებს ყველაზე მეტად ლონდონი უყვართ

ნისლიანი ალბიონის დედაქალაქმა პირველი ადგილი დაიკავა რეიტინგში, რომელიც მოგზაურების ყველაზე საყვარელი ადგილის გამოსავლენად ჩატარდა. გამოკითხვას ყოველწლიურად ატარებს საგადასახადო სისტემა Mastercard და ის გლობალურ ტურიზმს ეძღვნება. ექსპერტებმა დაითვალეს, რომ 2015 წელს დიდ ბრიტანეთს და კერძოდ, ლონდონს 18,8 მილიონი ტურისტი მოინახულებს, რომლებიც 13,3 მილიარდ გირვანქა სტერლინგს (18,4 მილიარდი ევრო) დახარჯავენ. აღსანიშნავია, რომ ამ გამოკითხვაში ბრიტანეთის დედაქალაქი, ბოლო ხუთი წელია, ლიდერობას არ თმობს. მოგზაურთა საყვარელი ქალაქების „საუკეთესო ათეულში“ არიან ასევე ბანგკოკი, პარიზი, დუბაი, სტამბოლი, ნიუ იორკი, სინგაპური, კუალა-ლუმპური, სეული და ჰონგკონგი. სპეციალისტებმა ისიც დაადგინეს, რომ მიმდინარე წელს, ტურისტების მიერ 382,9 მილიონი ავიაგადაფრენა შესრულდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მოგზაურობისას კი ისინი დახლოებით 327 მილიარდ ევროს დახარჯავენ.

ძილი აკეთილშობილებს

სწავლულებმა და მედიკოსებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც გაარკვიეს, როგორ აქვს ადამიანს განვითარებული მოთმინების გრძნობა და დაასკვნეს, რომ ადამიანმა ტოლერანტობა შესაძლოა, ძილში ისწავლოს. ექსპერიმენტის მონაწილეებს შავკანიანი ადამიანებისა და მეცნიერი-ქალების ფოტოებს ათვალიერებინებდნენ. ეს ფოტოები მათ გარკვეული მუსიკის ფონზე უნდა ენახათ. შემდეგ იმავე მელოდიის ფონზე იძინებდნენ 1,5 საათით, ამ ფონზე ექსპერიმენტის მონაწილეებმა 56%-ით ნაკლები ცუდი აზრი გამოთქვეს შავკანიანების მიმართ. ასევე საინტერესო აღმოჩენა გახდა ფაქტი, რომ ხელების დაბანა დადებით გავლენას ახდენს ადამიანზე — ის უფრო კეთილი ხდება, რადგან ნეგატიური ემოციები „ჩამოიბანა“.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.